March 2022 (№21)
Volume 8; Issue 1; Page No. 178-206
ISSN: 2346-7916 (Print)
ISSN: 2587-5043 (Online)

INTERNATIONAL JOURNAL OF LAW: "LAW AND WORLD" www.lawandworld.ge

https://doi.org/10.36475/8.1.10 Licensed under: CC BY-SA

Jurisprudence of the Strasbourg Court of 2020

Eva Gotsiridze
Doctor of law, Justice of the Constitutional Court of Georgia, Professor of The Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

ARTICLE INFO

Article History:

Received 22.02.2022
Accepted 09.03.2022
Published 31.03.2022

Keywords:

Jurisprudence,
Strasbourg Court,
Human Rights

ABSTRACT

The Article concerns the Jurisprudence of the European Court of Human Rights of 2020.

It does not have an ambitious objective to give an exhaustive analysis of the Court's Case – Law, it only tries to show several important issues, which reflect current approaches of the Court and tendencies or directions of its Case-Law development. The following issues and cases will be discussed in the Article: jurisdiction of a State (art.1) and its interconnection with the admissibility of the application (inter-state case *Slovenia v. Croatia*, concerning an alleged violation of convention rights of a legal entity, which could not be classified as a "non-governmental organization" in the meaning of the art. 34); refusal by the Court to acknowledge extra-territorial jurisdiction in respect of the foreign nationals who apply for a visa at an embassy or consulate abroad (*M.N and Others v. Belgium*); extra-territorial effect of a refugee status within the EU (Shiksaitov v. Slovakia); just satisfaction in respect of property outside of a respondent state territory and indirect binding nature of the Court's judgment for a State, which was not a party in convention proceedings (*Molla v. Greece*); issue of a state responsibility (in the meaning of violation of negative or positive obligations) for acts committed by a state agent in his private capacity, and the issue of whether and under what circumstances the approval by a state of a committed act raises its responsibility before the Convention; obligations in the context of extradition and arbitrary release from serving a prison sentence for a racially motivated hate crime (*Makuchyan and Minasyan v. Azerbaijan and Hungary);* importance of the freedom of expression of a member of Parliament from the oppositional

political party (*Selahattin Demirtaş v. Turkey*,); and of an accused person during his case hearing in the context of the statements for self-defense that resulted in his conviction for defamation (*Miljević v. Croatia);* compatibility of an organized calling for boycott with the art. 10 and the threshold, that should never be overstepped while exercising freedom of speech *(Baldassi and Others v. France),* etc.

It is emphasized in the Article that the Court has developed a number of new approaches and principles in order to protect vulnerable groups (Roma community, asylum seekers, homosexuals, victims of domestic violence or trafficking, children (from ill-treatment by their parents)), as well as to introduce more detailed criteria to estimate the foreseeability of criminal provisions, concept of "tribunal established by law" (within the meaning of art.6) or more guarantees for personal data protection, etc. The Author is of an opinion that ECHR does follow its way of harmonious interpretation of the Convention with the other International law instruments and, in later cases, extends the application of the principle of subsidiarity including making its judgments indirectly binding for a State, which was not a party in the convention proceedings.

სტრასბურგის სასამართლოს 2020 წლის იურისპრუდენცია

ევა გოცირიძე
სამართლის დოქტორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

საკვანძო სიტყვები: იურისპრუდენცია, სტრასბურგის სასამართლო, ადამიანის უფლებები

შესავალი

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2020 წელს განიხილეს არაერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანა სასამართლოს იურისპრუდენციის განვითარებაში, კონვენციის დებულებების, ცალკეული კონცეპტებისა თუ ტერმინების შინაარსობრივი ფარგლების განსაზღვრის, პოზიციების დაზუსტების, ახალი მიდგომების შემუშავებისა თუ მანამდე შეუსწავლელი საკითხების დამუშავებაში. ამ სტატიის მიზანია თვალი მივადევნოთ, მათ შორის კრიტიკულად, სასამართლოს მიერ შემოთავაზებულ სიახლეებს და დავაკვირდეთ განვითარების მიმართულებებსა და ტენდენციებს. სტატია,

ცხადია, მიზნად არ ისახავს სასამართლოს 2020 წლის იურისპრუდენციის სრულ და ამომწურავ ანალიზს, ვინაიდან ეს ერთი სტატიის ფორმატისათვის შეუფერებელი და განუხორციელებადი მიზანი იქნებოდა. ჩვენი მიზანია მხოლოდ რამდენიმე სიახლეზე ყურადღების გამახვილება.

სასამართლოს იურისდიქცია და საჩივრის დასაშვებობა

ამ მიმართებით საინტერესო იყო სახელმწიფოთაშორისო საქმე *Slovenia v. Croatia.*[1] იგი იმითაა საყურადღებო, რომ მასში ერთმანეთშია გადაჯაჭვული იურისდიქციისა და საჩივრის დასაშვებობის საკითხები. საქმე შეხებოდა სასამართლოს იურისდიქციას, კონვენციის 34-ე მუხლის მიზნებისათვის განეხილა სახელმწიფოთაშორისო საჩივარი, რომელშიც ნაგულვები იყო ისეთი იურიდიული ორგანიზაციის უფლებების დარღვევა, რომელიც არ წარმოადგენდა „არასამთავრობო ორგანიზაციას". დიდი პალატის ეს გადაწყვეტილება საგულისხმოა ორი ასპექტით: ჯერ ერთი, მან განმარტა განსხვავება „იურისდიქციასა" და „დასაშვებობას" შორის კონვენციის 32-ე და 35-ე მუხლების გაგებით; გარდა ამისა, უპასუხა კითხვას, შეუძლია თუ არა ხელშემკვრელ მხარეს გამოიყენოს სახელმწიფოთაშორისო პროცედურა ისეთი იურიდიული ორგანიზაციის ინტერესების დასაცავად, რომელსაც თავად არ შეუძლია ინდივიდუალური საჩივრით მიმართოს სასამართლოს კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე.

ეს სახელმწიფოთაშორისო საქმე შეეხებოდა სლოვენიის მთავრობის საჩივარს ხორვატიის წინააღმდეგ ლიუბლიანას ბანკის მიმართ ჩადენილი სავარაუდო დარღვევების გამო. კერძოდ: სლოვენიის მთავრობამ სასამართლოში შეიტანა სახელმწიფოთაშორისო საჩივარი ხორვატიის წინააღმდეგ (კონვენციის 33-ე მუხლი), რომელშიც ნავარაუდები იყო მთელი რიგი დარღვევები ლიუბლიანას ბანკის მიმართ, რომელიც ნაციონალიზებულ იქნა სლოვენიის სახელმწიფოს მიერ ყოფილი იუგოსლავიისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და რომელსაც იმხანად აკონტროლებდა მემკვიდრე ფონდი – სლოვენიის სამთავრობო სააგენტო.

საქმე ისაა, რომ მანამდე საკუთრივ ლიუბლიანას ბანკს ჰქონდა შეტანილი ინდივიდუალური საჩივარი იმავე საკითხებზე ევროპულ სასამართლოში და ის სასამართლოს მიერ დაუშვებლად იყო ცნობილი ratione personae საფუძვლით (იხ. საქმე *Ljubljanska Banka D.D. v. Croatia*[2]), ვინაიდან, ეს ბანკი, მართალია, ცალკე იურიდიულ ორგანიზაციას წარმოადგენდა, მაგრამ არ სარგებლობდა სახელმწიფოსაგან საკმარისი ინსტიტუციური და სამოქმედო დამოუკიდებლობით და ამიტომ ვერ ჩაითვლებოდა „არასამთავრობო" (non-governmental) ორგანიზაციად, ვისაც კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური საჩივრის შეტანა შეეძლო. შესაბამისად, ამ ბანკის ინტერესების დასაცავად მთავრობის მიერ შემოტანილი სახელმწიფოთაშორისო საჩივრის განხილვისას, სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი – წარმოეშვა თუ არა მას ამის გამო იურისდიქცია და გააჩნდა თუ არა უფლებამოსილება, განეხილა სახელმწიფოთაშორისო საჩივარი, რომელიც მიზნად ისახავდა ისეთი ორგანიზაციის უფლებების დაცვას, რომელიც არ წარმოადგენდა „არასამთავრობო ორგანიზაციას" კონვენციის 34-ე მუხლის მიზნებისათვის.

დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ხელშემკვრელ მხარეს არ შეეძლო გამოეყენებინა სახელმწიფოთაშორისო პროცედურა ისეთი ორგანიზაციის ინტერესების დასაცავად, რომელსაც თვითონ არ შეეძლო ინდივიდუალური საჩივრით სასასამართლოსთვის მიმართვა. ვინაიდან ეს ბანკი სახელმწიფო სააგენტოს მხრიდან კონტროლდებოდა და არ წარმოადგენდა არასამთავრობო ორგანიზაციას, არც მომჩივან მთავრობას შეეძლო მისი ინტერესების დასაცავად სახელმწიფოთაშორისო საჩივრის შეტანა. შესაბამისად, არ არსებობდა იურისდიქცია – მიეღო ეს საჩივარი განსჯადობით.

სასამართლომ ეს გადაწყვეტილება დააყრდნო სამ ძირითად არგუმენტს:

პირველ რიგში, დიდმა პალატამ გამოიყენა ზოგადი პრინციპი, რომლის შესაბამისად, კონვენცია წაკითხული უნდა იქნეს როგორც ერთი მთლიანობა და აგებული იმგვარად, რომ ხელი

1 *Slovenia v. Croatia* (dec.) [GC], no. 54155/16, 18 November 2020.

2 *Ljubljanska Banka D.D. v. Croatia* (dec.), no. 29003/07, 12 May 2015.

შეუწყოს მის დებულებებს შორის ლოგიკურ შეთავსებადობასა და თანმიმდევრულობას – მათ შორის, იურისდიქციულ და პროცედურულ დებულებებს შორის, როგორებიცაა კონვენციის 33-ე და 34-ე მუხლები. ეს იმას გულისხმობდა, რომ „არასამთავრობო ორგანიზაციის“ მნიშვნელობა და ფარგლები ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო ორივე ამ დებულებისათვის.

მეორე, დიდმა პალატამ მხედველობაში მიიღო კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების სპეციფიკური ბუნება, რაც საყოველთაოდ არის აღიარებული საერთაშორისო სამართლით. სასამართლომ მიუთითა, რომ თვით სახელმწიფოთაშორისო საქმეშიც ეს მხოლოდ ინდივიდი იყო, რომელიც პირდაპირ ზიანს განიცდიდა კონვენციის დარღვევის გამო; სხვა სიტყვებით, მხოლოდ ფიზიკურ პირებს, ფიზიკურ პირთა ჯგუფს ანდა იურიდიულ პირს, რომელიც „არასამათავრობო ორგანიზაციას“ განეკუთვნებოდა, შეეძლოთ აღჭურვილი ყოფილიყვნენ კონვენციის უფლებებით, მაგრამ არა ხელშემკვრელ სახელმწიფოს ანდა მისთვის მიკუთვნებულ იურიდიულ პირს.

მესამე, დიდმა პალატამ ლოგიკური დასკვნა გამოიტანა იმ პრინციპიდან, რომელიც დაადგინა სამართლიანი დაკმაყოფილების გადაწყვეტილებაში საქმეზე *Cyprus v. Turkey,*[3] რომლის მიხედვით, ნებისმიერი სამართლიანი დაკმაყოფილებით, რომლის მინიჭებაც ხდება სახელმწიფოთაშორისო საქმის ფარგლებში, უნდა ისარგებლოს კონკრეტულმა ინდივიდუალურმა მსხვერპლმა და არა თავად სახელმწიფომ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში, იგი ვერ ხედავდა მიზეზებს, უარი ეთქვა იმ დასკვნებზე, რაც გაკეთდა ლიუბლიანის ბანკის *(Ljubljanska Banka D.D v. Croatia)* ინდივიდუალურ საჩივარზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, სადაც ითქვა რომ ეს ბანკი არ წარმოადგენდა „არასამთავრობო ორგანიზაციას“ კონვენციის 34-ე მუხლის მიზნებისათვის. აქედან გამომდინარე, არც მომჩივან მთავრობას შეეძლო მისი ინტერესების დასაცავად სახელმწიფოთაშორისო საჩივრის შეტანა სასამართლოში.

სასამართლომ თავისი სამართალი პროცედურის მიმართულებითაც განავითარა. იმის გადაწყვეტამდე, იყო თუ არა წინამდებარე საჩივარი შეთავსებადი კონვენციის 33-ე მუხლთან, დიდ პალატას უნდა ეპასუხა კითხვაზე, შეეძლო თუ არა მას ეს საკითხი გადაეწყვიტა პროცედურის მისაღებობის სტადიაზე. საქმე ისაა, რომ კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოთაშორისო საჩივრის დაუშვებლად გამოცხადება 35-ე მუხლის საფუძველზე ნებადართული იყო მხოლოდ შიდა სამართლებრივი მისაგებლის ამოუწურაობის ან ვადის დარღვევის საფუძვლით. დასაშვებობის სხვა კრიტერიუმებით შეფასება დატოვებული იყო პოსტ-დასაშვებობის სტადიაზე საქმის არსებითი განხილვის დროს. ამის მიუხედავად, დაეყრდნო რა საერთაშორისო ტრიბუნალების მხრიდან იურისდიქციის განხორციელების ძირითად პრინციპებს, დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ არაფერი აბრკოლებდა მას, უკვე დასაშვებობის სტადიაზე გადაეწყვიტა საკითხი, გააჩნდა თუ არა მას კომპეტენცია, შესდგომოდა მის წინაშე დაყენებული საკითხების განხილვას. სხვა სიტყვებით, მან დაადგნა, რომ სასამართლოს შეეძლო სახელმწიფოთაშორისო საჩივრის უკუგდება მისი დაუშვებლად გამოცხადების გარეშე, თუკი თავიდანვე ცხადი იყო საჩივრის სრული უსაფუძვლობა, ანდა არ არსებობდა ნამდვილი ბრალდების მოთხოვნები კონვენციის 33-ე მუხლის გაგებით.

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ ამ ასპექტში საკვანძოს საკითხს წარმოადგენდა იმის შეფასება, შეეძლო თუ არა კონვენციას, როგორც ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებას, „არასამთავრობო“ იურიდიული ორგანიზაციისათვის სუბიექტური უფლების შექმნა არ მიეჩნია „დასაშვებად“, რამდენადაც იგი არ შეესატყვისებოდა კონვენციის 35-ე მუხლით დადგენილ დასაშვებობის არცერთ კრიტერიუმს და იმგვარ საკითხს უფრო წარმოადგენდა, რომელიც კონვენციის მექანიზმის მიღმა გადიოდა და საერთაშორისო სამართლის ზოგად საკითხებს მიემართებოდა. საბოლოოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ ეს იყო სასამართლოს „იურისდიქციისათვის“ მიკუთვნებულობის საკითხი 32-ე მუხლის გაგებით და, როგორც ასეთი, შეიძლება განხილვას დაქვემდებარებოდა პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე.

3 *Cyprus v. Turkey* (just satisfaction) [GC], no. 25781/94, ECHR 2014.

ექსტრატერიტორიული იურისდიქციის უარყოფა ვიზის მოთხოვნების განხილვის კონტექტში

საქმე *M.N and Others v. Belgium*[4] იმით გახდა საინტერესო, რომ მასში მომჩივანმა დაყენა სახელმწიფოს ექსტრატერიტორიული იურისდიქციის საკითხი ისეთ ასპექტებთან მიმართებაში, რომელიც ადრე არ ყოფილა განხილვის საგანი. ცნობილია, რომ კონვენციით დადგენილი საერთო საერთო წესისამებრ, კონვენციის წინაშე ხელშემკვრელი მხარეების პასუხისმგებლობა ტერიტორიული იურისდიქციის მიხედვით ყალიბდება. თუმცა, პრაქტიკამ არაერთგზის მოითხოვა ზოგიერთ გარემოებებში კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების ექსტრატერიტორიული იურისდიქციის აღიარება განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო, თავისი კუთვნილი ტერიტორიის გარეთაც, განსაზღვრულ ტერიტორიაზე, პასუხისმგებელია კონვენციის უფლებების დარღვევისათვის. ეს მაშინ ხდება, როდესაც იგი ამ ტერიტორიაზე ახორციელებს ეფექტიან კონტროლს. ამის თაობაზე, სასამართლოს უკვე კარგად დამკვიდრებული პრაქტიკა არსებობს.[5] თუმცა, პრაქტიკაში წამოიჭრება ხოლმე სხვა, განსხვავებული სადავო შემთხვევებიც, სადაც მომჩივნებს ნაგულვები აქვთ ხელშემკვრელი სახელწიფოს ექსტრატერიტორიული იურისდიქცია და გარკვეული საამისო არგუმენტებიც გააჩნიათ. მაგალითად, წინამდებარე საქმეზე წარმოიშვა საკითხი, ახორციელებდა თუ არა სახელმწიფო საზღვარგარეთ გამწესებული დიპლომატებისა თუ საკონსულოს აგენტების საქმიანობის კონტროლს და, მაშასადამე, იურისდიქციას იმ ინდივიდებზე, ვისაც ვიზის მოთხოვნები ჰქონდა შეტანილი ამ ქვეყნის საელჩოებსა და საკონსულოებში საზღვარგარეთ; ქმნიდა თუ არა იურისდიქციულ კავშირს სახელმწიფოს გადაწყვეტილება ვიზაზე უარის შესახებ და მომჩივნის მიერ ამ უარის გაპროტესტება ამ ქვეყნის შიდა სასამართლოებში.

მოცემულ საქმეზე მომჩივნებს წარმოადგენდნენ სირიელი წყვილი და მათი ორი მცირეწლოვანი შვილი, რომლებიც მოგზაურობდნენ ბეირუთში. მათ ბეირუთში არსებულ ბელგიის საელჩოში შეიტანეს მოთხოვნა მოკლევადიანი ვიზის მიღებაზე, რომელიც მათ ბელგიაში მოგზაურობის შესაძლებლობას მისცემდა. იქ კი ისინი აპირებდნენ თავშესაფრის მისაღებად მიემართათ ალეპოში კონფლიქტის გამო. უცხოელთა საქმეების უწყებამ ბელგიაში მათ მოთხოვნას უარი უთხრა. მომჩივნებმა გააპროტესტეს ეს უარი ბელგიის სასამართლოებში, თუმცა, წარუმატებლად. კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების საფუძველზე შეტანილ საჩივრებში მათ მიუთითეს, რომ ეს უარი ნიშნავდა არასათანადო მოპყრობის რისკის ქვეშ მათ დატოვებას; რომ, იმავდროულად, მათ არ გააჩნდათ ქმედითი მისაგებელი და რომ კონვენციის მე-3 (§1) და მე-13 მუხლებიც დარღვეული იყო.

პალატის მხრიდან დიდი პალატისათვის იურისდიქციის გადაბარების შემდეგ, დიდმა პალატამ საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა. რაც შეეხებოდა მე-3 და მე-13 მუხლების სავარაუდო დარღვევას, მიიჩნია, რომ მომჩივნები არ იყვნენ ბელგიის იურისდიქციის ქვეშ. ამგვარად, დიდმა პალატამ კითხვაზე – ახორციელებდა თუ არა სახელმწიფო კონტროლს და, შესაბამისად, იურისდიქციას, იმ ინდივიდებზე, რომლებსაც შეჰქონდათ ვიზის მოთხოვნები ამ ქვეყნების საელჩოებსა და საკონსულოებში საზღვარგარეთ – ნეგატიური პასუხი გასცა და ისიც განმარტა, რომ არც ამ ქვეყნების სასამართლოებში მიღებული უარის გასაჩივრება წარმოშობდა იურისდიქციულ უკუკავშირს (jurisdictional link). მე-6 მუხლთან მიმართებაში კი მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, იურისდიქციის საკითხის მიმართ მე-6 (§1) მუხლი არ იყო გამოყენებადი, რადგან აღსრულების პროცედურები არ შეეხებოდა „სამოქალაქო“ უფლებებს პრეცედენტული სამართლის გაგებთ.

სასამართლომ თანმიმდევრობით განიხილა შემდეგი საკითხები: პირველ რიგში, შეაფასა, ახორციელებდა თუ არა სახელმწიფო საზღვარგარეთ გამწესებული დიპლომატების ან

4 *M.N. and Others v. Belgium* (dec.) [GC], no. 3599/18, 5 May 2020.

5 სასამართლოს არაერთხელ უღიარებია ხელშემკვრელი სახელმწიფოების ექსტრატერიტორიული იურისდიქცია მათ სახელმწიფო ტერიტორიის მიღმა ტერიტორიებზე ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევებისათვის (მაგალითად, იხილეთ: *Loizidou v. Turkey*, *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia*, *Ivanţoc and Others v. Moldova and Russia*, *Catan and Others v. the Republic of Moldova and Russia*, *Chiragov and Others v. Armenia*, *Sargsyan v. Azerbaijan*, *Jaloud v. Netherlands*).

საკონსულოს აგენტების მხრიდან გარკვეული ქმედებებისა თუ უმოქმედობის გზით ეფექტიან კონტროლს ან ხელისუფლებას იმ მომჩივნებზე, რომლებსაც ვიზის მოთხოვნები ჰქონდათ შეტანილი. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ მომჩივნები არასოდეს ყოფილან ბელგიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არც მანამდე არსებობდა ოჯახურ ან პირად ცხოვრებაზე მიბმული რაიმე კავშირები ამ სახელმწიფოსთან. არც იმგვარად ყოფილა საკითხი სასამართლოს წინაშე დაყენებული, თითქოს იურისდიქციული კავშირი გაჩნდა რაიმე კონტროლის შედეგად, რომელსაც ბელგიის მთავრობა თითქოს ახორციელებდა სირიის ან ლიბანის ტერიტორიაზე.

დამატებით, სასამართლომ არარელევანტურად მიიჩნია საკითხი, თუ კერძოდ ვინ (ბელგიის ხელისუფლება სახელმწიფოს ტერიტორიაზე თუ მისი აგენტები საზღვარგარეთ) იყო პასუხისმგებელი ვიზის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში. სასამართლომ ამ საქმის გარემოებები შეადარა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ შექმნილ იმ პრეცედენტებს, რომლებიც შეეხებოდა სწორედ დიპლომატიური აგენტების ქმედებებსა თუ უმოქმედობას (*X v. Germany 6*; *X v. the United Kingdom*[7]; *S. v. Germany*[8] და *M. v. Denmark*[9]). შედარების შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმეში არ არსებობდა ამ საქმეებისთვის დამახასიათებელი არცერთი მნიშვნელოვანი ნიშანი. კერძოდ, მომჩივნები არ იყვნენ ბელგიის მოქალაქეები, რომლებიც ეძიებდნენ მათი ქვეყნის საელჩოს დახმარებას; გარდა ამისა, ეს დიპლომატები არასდროს, დროის არცერთ მონაკვეთში არ ახორციელებდნენ მომჩივნებზე დე ფაქტო კონტროლს, რომლებმაც თავისუფლად გააკეთეს არჩევანი და გადაწყვიტეს, მიემართათ ბეირუთში ბელგიის საელჩოსათვის და არა რომელიმე სხვა ქვეყნის საელჩოსათვის ვიზის განაცხადის შესატანად. შესაბამისად, ისინი სრულად თავისუფალი იყვნენ დაეტოვებინათ ბელგიის საელჩო ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. სასამართლომ მხედველობაში მიიღო აგრეთვე სასამართლოს პრაქტიკა ისეთ სიტუაციებთან მიმართებაში, სადაც სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომლებიც საქმიანობდნენ სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ, შენობების, თვითმფრინავებისა თუ გემების კონტროლის მეშვეობით ახორციელებდენ ფიზიკურ კონტროლს იქ მყოფი ადამიანების მიმართ (*Issa and Others v. Turkey*[10]; *Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom*[11]; *Medvedyev and Others v. France*[12]; *Hirsi Jamaa and Others v. Italy*[13]; and *Hassan v. the United Kingdom*[14]).

სასამართლომ დაასკვნა, რომ ბელგიის სახელმწიფო აგენტების მხრიდან ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელება საელჩოების შენობებზე არ იყო საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ ყველა პირი, ვინც ამ შენობაში შევიდოდა, ავტომატურად ხვდებოდა ბელგიის იურისდიქციის ქვეშ. დაბოლოს, ამ საქმის კონტექსტი მთლიანად განსხვავდებოდა საქმეებისაგან, სადაც მომჩივნები, თეორიულად, იმყოფებოდნენ შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მის საზღვარზე, და, მაშასადამე, აშკარად ხვდებოდნენ ამ სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ. ამგავარად, ექსტრატერიტორიული იურისდიქცია ამ საქმეში არ წარმოიშობოდა.

თუმცა, ამ საქმის მომჩივნები სხვა კონტექსტსაც მიუთითებდნენ იურისდიქციული კავშირის დასადასტურებლად. საქმე ისაა, რომ მომჩივნებმა ბელგიის საელჩოს უარი ვიზის მიღებაზე გააპროტესტეს ბელგიის სასამართლოებში. მათი აზრით, სწორედ ეს ქმნიდა უტყუარ იურისდიქციულ კავშირს ბელგიის სახელმწიფოსთან, თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამაზეც ნეგატიური პასუხი გასცა დიდმა პალატამ.

მან დაადგინა, რომ მომჩივნები იურისდიქციული კავშირის არსებობას ვერ დაუფუძნებდნენ იმ გარემოებას, რომ მათ ვიზის მიღებაზე უარის გადაწყვეტილება ბელგიის

6 *X v. Germany*, no. 1611/62, Commission decision of 25 September 1969, unreported.

7 *X v. the United Kingdom*, no. 7547/76, Commission decision of 15 December 1977, Decisions and Reports 12, p. 73.

8 *S. v. Germany*, no. 10686/83, Commission decision of 5 October 1984, Decisions and Reports 40, p. 291.

9 *M. v. Denmark*, no. 17392/90, Commission decision of 14 October 1992, Decisions and Reports 73, p. 193.

10 *Issa and Others v. Turkey*, no. 31821/96, 16 November 2004.

11 *Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom*, no. 61498/08, ECHR 2010.

12 *Medvedyev and Others v. France* [GC], no. 3394/03, ECHR 2010.

13 *Hirsi Jamaa and Others v. Italy* [GC], no. 27765/09, ECHR 2012

14 *Hassan v. the United Kingdom* [GC], no. 29750/09, ECHR 2014.

სასამართლოებში გაასაჩივრეს და რომ მომჩივანთა მოსაზრებებს არავითარი დასაყრდენი არ გააჩნდა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. აქვე უნდა ითქვას, რომ დიდი პალატა სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდა, საქმე კონვენციის მე-6 მუხლის ჭრილში რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ, საქმეც ისაა, რომ დიდმა დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ საქმე არ შეეხებოდა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ „სამოქალაქო ხასიათის უფლებას", რომელიც სამართლიანი განხილვის მოთხოვნებს უკავშირდებოდა. შესაბამისად, მან მე-6 მუხლის გამოყენებადობაც არ ცნო. ამ მიმართებაში, სასამართლო რამდენიმე წინა გადაწყვეტილებას შეეხო (*Markovic and Others v. Italy*[15] და *Güzelyurtlu and Others v. Cyprus and Turkey*[16]), თუმცა, მომჩივნების საქმე ამ საქმეებისაგან ძლიერად განსხვავებულად მიიჩნია, რამდენადაც მომჩივნების საქმე შეეხებოდა კერძო პირების მიერ აღძრულ ადმინისტრაციულ პროცედურებს, რომლებსაც არავითარი კავშირი არ გააჩნდათ სახელმწიფოსთან. სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანთა პოზიციას არავითარი დასაყრდენი არ გააჩნდა სასამართლოს პრეცედენტებში. მისგან განსხვავებით, მთავრობის პოზიცია გამყარებული იყო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე *Abdul Wahab Khan v. The United Kingdom*[17], სადაც სასამართლომ მიუთითა:

„სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით ნათელი გახადა, რომ: მხოლოდ და მხოლოდ ფაქტი მომჩივნის მიერ პროცედურის წამოწყებისა იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელთანაც არაფერი აკავშირებს, საკმარისი არ არის მის მიმართ სახელმწიფოს იურისდიქციის აღიარებისათვის... სასამართლო მიიჩნევს, რომ სხვაგვარი გადაწყვეტა იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ დაგვეფუძნებინა კონვენციის თითქმის საყოველთაო გამოყენება ინდივიდების ცალმხრივი არჩევანის საფუძველზე, იმის მიუხედავად, თუ მსოფლიოს რა ნაწილში იმყოფებიან და, ამ გზით, დაგვედგინა ხელშემკვრელი სახელმწიფოების განუსაზღვრელი ვალდებულება, ქვეყანაში შესვლის ნება მიეცა ყველასათვის, ვინც, მისი იურისდიქციის გარეთ, შეიძლება ექვემდებარებოდეს კონვენციის საწინააღმდეგო მოპყრობის რისკს..."

საბოლოო ჯამი, შეიძლება ითქვა, რომ დიდმა პალატამ უარი თქვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების იურისდიქციის არაგონივრულ განვრცობაზე და არ დაავალდებულა ხელშემკვრელი სახელმწიფოები ქვეყანაში შესვლის ნება მიეცა ყველასათვის, ვინც შეიძლება, მისი იურისდიქციის გარეთ, ექვემდებარებოდეს კონვენციის საწინააღმდეგო მოპყრობას. მან დაადასტურა და გაიმეორა თავისი უკვე შემუშავებული მიდგომა, რომლის თანახმადაც, მხოლოდ და მხოლოდ ფაქტი მომჩივნის მიერ პროცედურის წამოწყებისა იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელთანაც არაფერი აკავშირებს, საკმარისი არ არის მის მიმართ სახელმწიფოს იურისდიქციის აღიარებისათვის. დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ კონვენციის ფარგლების ამგვარი გაფართოება ნეგატიურ ეფექტს იქონიებდა საერთაშორისო საჯარო სამართლის კარგად დამკვიდრებულ პრინციპზე, რომლის მიხედვითაც, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, რომლებიც ექვემდებარებიან სახელშეკრულებო ვალდებულებებს, უფლება აქვთ, გააკონტროლონ სახელმწიფო ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლა, ცხოვრება და გაძევება (*Ilias and Ahmed v. Hungary*)[18].

დაბოლოს, დიდმა პალატამ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული დასკვნები არ აბრკოლებდა სახელმწიფოებს, გაემარტივებინათ

15 *Markovic and Others v. Italy* [GC], no. 1398/03, ECHR 2006-XIV. საქმე შეეხებოდა ზიანის ანაზღაურების საკითხზე სამოქალაქო პროცედურას, რომელიც აღძრული იყო ყოფილი სერბიისა და მონტენეგროს მოქალაქეების მიერ იტალიის სასამართლოების წინაშე მათი ნათესავების სიკვდილის ფაქტებთან დაკავშირებით, რაც შედეგად მოჰყვა ნატოს საჰაერო თავდასხმებს. ამ საქმეში სასამართლომ დაუშვებლად ცნო მომჩივნების ყველა საჩივარი იურისდიქციის არარსებობის გამო გარდა საჩივრისა, რომელიც მე-6 მუხლს შეეხებოდა.

16 *Güzelyurtlu and Others v. Cyprus and Turkey* [GC], no. 36925/07, 29 January 2019. ამ საქმეში დადასტურდა თურქეთის ექსტრატერიტორიული იურისდიქცია კუნძულ კვიპროსზე სიკვდილის ფაქტებთან დაკავშირებით, რამდენადაც საქმე შეეხებოდა სისხლისსამართლებრივ პროცედურას, რომელიც აღძრული იყო თურქეთის ინიციატივით (რომელიც ახორციელებდა კონტროლს „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაზე") მე-2 მუხლის საფუძველზე მისი პროცედურული ვალდებულებების კონტექსტში.

17 *Abdul Wahab Khan v. the United Kingdom,* (dec.), no. 11987/11, 28 January 2014.

18 *Ilias and Ahmed v. Hungary* [GC], no. 47287/15, § 125, 21 November 2019. 17.

თავშესაფრის ძიებასთან დაკავშირებული პროცედურები მათი საელჩოებისა თუ საკონსულოების მეშვეობით.[19]

ექსტრატერიტორიული ეფექტი ევროპის კავშირის ფარგლებში

საქმე *Shiksaitov v. Slovakia*[20] გადაწყვეტილება შეიცავს ახლებურ ფაქტობრივ მატრიცას – ევროპის კავშირის ერთ ქვეყანაში ბოძებული თავშესაფრის სტატუსის ექსტრატერიტორიულ ეფექტს ევროპის კავშირის სხვა ქვეყანაში. ეს საქმე შეეხებოდა ევროპის კავშირის წევრ ქვეყანაში მომჩივნის (რომელიც უკვე იყო ლტოლვილად მიჩნეული ევროპის კავშირის სხვა წევრ ქვეყანაში) დაპატიმრებას მისი წარმოშობის ქვეყანაში ექსტრადიციის დასაშვებობის შემოწმების მიზნით. სასამართლოს მოუწია გადაეწყვიტა, დაიცავდა თუ არა შვედეთში მოპოვებული სტატუსი პირს დაპატიმრებისა და ექსტრადიციისგან სლოვაკეთის მხრიდან, საიდანაც იგი იყო მოთხოვნილი რუსეთის ფედერაციის მიერ.

მომჩივანს, ჩეჩნური წარმოშობის რუსეთის მოქალაქეს, მინიჭებული ჰქონდა თავშესაფარი (მუდმივი დარჩენის ნებართვა) შვედეთში 2011 წელს მისი პოლიტიკური მოსაზრებების გამო. 2015 წლის იანვარში, ის დააპატიმრეს სლოვაკეთში დაპატიმრების საერთაშორისო ორდერის საფუძველზე, რომელიც გამოცემული იყო მის წინააღმდეგ 2007 წელს ჩეჩნეთის რესპუბლიკის მიერ ტერორიზმის ბრალდებით, რაც სავარაუდოდ ჩადენილი იყო გროზნოში. სლოვაკეთის სასამართლოებმა განიხილეს მისი რუსეთის ფედერაციისათვის გადაცემის მოთხოვნის დასაშვებობა და იგი დაპატიმრებული იქნა სწორედ ამ პროცედურაზე დასწრების უზრუნველსაყოფად. 2016 წლის 2 ნოემბერს სლოვაკეთის უზენაესმა სასამართლომ მისი ექსტრადიცია მიიჩნია დაუშვებლად და ბრძანა მისი სასწრაფოდ გათავისუფლება, ვინაიდან მომჩივანს ნაბოძები ჰქონდა ლტოლვილის სტატუსი შვედეთში და, ამის გამო, იგი როგორც ლტოლვილი, სარგებლობდა დაცვით სლოვაკეთის ტერიტორიაზეც. უზენაესი სასამართლოს აზრით, დებულებები, რომლებსაც შეიცავდა 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა შესახებ (1951 Refugee Convention)[21] და ევროპის კავშირის დირექტივა (Directive 2011/95/EU)[22] (რომელიც ითვალისწინებდა ლტოლვილის სტატუსიდან გამონაკლისებს), არ იყო გამოყენებადი მის მიმართ. ქმედებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის თავდაპირველ სისხლისსამართლებრივ დევნას, მიჩნეულ იქნა „პოლიტიკურად“ და სწორედ მომჩივნის პოლიტიკური შეხედულებები შეიძლებოდა გამხდარიყო სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ მიკერძოების საფუძველი ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (§§ 1 და 2) გაგებით (European Convention on Extradition).[23] კონვენციის პროცედურების დროს მომჩივანმა მიუთითა, რომ მისი დაპატიმრება სლოვაკეთში უკანონო იყო, რადგან მისი სტატუსი გამორიცხავდა მის ექსტრადიციას რუსეთის ფედერაციაში. ევროპულმა სასამართლომ ჰპოვა კონვენციის, მათ შორის, მე-5 (§ 1) მუხლის დარღვევა, რადგან მისი პატიმრობა არ იყო ვალიდური მისი პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ხოლო ხელისუფლებამ პროცედურები განახორციელა სათანადო სიფრთხილის გარეშე.

მიუთითა რა ამ საკითხებზე საერთაშორისო სამართლის შესაბამისი წესების მნიშვნელობასა და კონვენციის მათთან შესაბამისობაში განმარტების აუცილებლობაზე, სასამართლო დაეყრდნო გაეროს ადამიანის უფლებათა კომისრის აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნას (Conclusion No. 12 (XXIX) of the UNHCR's Executive Committee),[24] სასამართლომ მიიჩნია, რომ შვე-

19 ნახეთ, მაგალითად, *N.D. and N.T. v. Spain*, nos. 8675/15 and 8697/15, § 222, 3 October 2017; სადაც სასამართლომ განიხილა, იყო თუ არა მომჩივნების შესაძლებლობა, მოეთხოვათ საერთაშორისო დაცვა ეპანეთის საელჩოსა და საკონსულოში, მათთვის რეალურად და ეფექტიანად ხელმისაწვდომი).

20 *Shiksaitov v. Slovakia*, nos. 56751/16 and 33762/17, 10 December 2020.

21 1951 Geneva Convention relating to the Status of Refugees.

22 Directive 2011/95/EU of the European Parliament and of the Council of 13 December 2011 on standards for the qualification of third-country nationals or stateless persons as beneficiaries of international protection, for a uniform status for refugees or for persons eligible for subsidiary protection, and for the content of the protection granted (recast).

23 European Convention on Extradition, ETS 024

24 Conclusion No. 12 (XXIX) Extraterritorial Effect of the Determination of Refugee Status, Executive Committee

ციაში მომჩივნისათვის მინიჭებული ლტოლვილის სტატუსი სლოვაკეთში კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლებოდა დამდგარიყო მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში, თუკი იარსებებდა ინფორმაცია, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ პირი ექცეოდა საგამონაკლისო დებულებების ქვეშ და ვერ შეინარჩუნებდა ამ სტატუსს.

სასამართლომ მიუთითა, რომ შვედეთის ხელისუფლებამ არ შეამოწმა არც ინტერპოლის მონაცემთა ბაზა თავშესაფრის პროცედურების განმავლობაში და არც იმ ბრალდების ბუნება, რაც წაყენებული იყო მომჩივნის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციაში და რომ გამოყენებადობა იმ მუხლისა, რომელიც ლტოლვილის სტატუსის საკითხებში გამონაკლისებს ითვალისწინებდა, არ იყო სათანადოდ განხილული შვედეთში. ამიტომ სლოვაკეთის ხელისუფლებას ვერ დაედებოდა ბრალი ექსტრადიციის მოთხოვნის განხილვის გამო, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს ლტოლვილის სტატუსი გააჩნდა შვედეთში. შესაბამისად, მისი დაპატიმრება, ვერ იქნებოდა მიჩნეული როგორც ab initio შიდა სამართლის ან კონვენციის მე-5 § 1 (f) მუხლის საწინააღმდეგო. ამ საქმის სცენარი განსხვავდებოდა იმისაგან, რაც არსებობდა საქმეში *Eminbeyli v. Russia*[25], სადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის დაპატიმრება მისი ექსტრადიციის მიზნით იყო თავიდანვე თვითნებური, რადგან მომჩივანს გააჩნდა ლტოლვილის სტატუსი იმ ქვეყანაში, საიდანაც იგი იყო მოთხოვნილი, ხოლო შიდა სამართალი კი კრძალავდა ლტოლვილის ექსტრადიციას.[26]

სასამართლოს გადაწყვეტილების არაპირდაპირ სავალდებულობა მხარისათვის, რომელიც არ წარმოადგენს პროცესის მხარეს

საქმეში *Molla v. Greece*[27] პირველად დაავალდებულა ევროპულმა სასამართლომ ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელიც არ იყო მოცემული საქმის მხარე, გაეთვალისწინებინა შიდა სასამართლოების განხილვაში მყოფ საქმეზე მისი ეს გადაწყვეტილება და მიეღო ისეთი, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნებოდა ამ უკანასკნელთან.

ზემოაღნიშნულ საქმეზე მიღებული სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება შეეხებოდა სამართლიანი დაკმაყოფილების განსაზღვრას 41-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც მიიღო მომჩივნის მოთხოვნების განხილვის შედეგად. ამ გადაწყვეტილებაში, სასამართლო შეეხო იმ ქონებასაც, რომელსაც არ უკავშირდებოდა სასამართლოს ძირითადი გადაწყვეტილების დასკვნები და, ამავდროულად, მდებარეობდა სახელმწიფოში (თურქეთში) რომელიც არ წარმოადგენდა მოპასუხე სახელმწიფოს კონვენციის შესაბამის პროცედურებში (მოპასუხე სახელმწიფოს წარმოადგენდა საბერძნეთი).

ასეთი გადაჯაჭვულობა გამოიწვია საქმის ფაქტებმა, კერძოდ, სამართლიანი დაკმაყოფილების განსაზღვრის აუცილებლობამ მომჩივნის ქონებების მიმართ, რომლებიც მდებარეობდა საბერძნეთსა და თურქეთში: მომჩივნის ქმრის სიკვდილის შემდეგ, რომელიც იყო ბერძენი მუსლიმი, მომჩივანმა მემკვიდრეობით მიიღო მისი მთელი ქონება ანდერძით, რაც მანამდე იქნა მომჩივნის ქმრის მიერ შედგენილი ნოტარიუსის თანდასწრებით. გარდაცვლილის დებმა ანდერძი გაასაჩივრეს და წარმატებასაც მიაღწიეს. საბერძნეთის საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მუსლიმი უმცირესობის თემის ქონებრივი საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო შარიას კანონების (Sharia law) საფუძველზე, რომლის მიხედვით, საბერძნეთის მოქალაქე მუსლიმის ნოტარიულად დამოწმებულ

29th session, 17 October 1978, UN Doc. A/33/12/Add.1.

25 *Eminbeyli v. Russia*, no. 42443/02, 26 February 2009.

26 თუმცა, წინამდებარე საქმეში, სასამართლომ მაინც დარღვეულად ცნო კონვენციის მე-5 მუხლი. მან მიიჩნია, რომ მომჩივნის პატიმრობა, მაინც ვერ ჩაითვლებოდა გამართლებულად მისი ხანგძლივობის (1 წელი და 9 თვე) გათვალისწინებით. ინფორმაცია მომჩივნის ლტოლვილის სტატუსის შესახებ, ისევე როგორც, რუსეთში მის სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული დოკუმენტები (რომლებიც იძლეოდა სავარაუდო დანაშაულის პოლიტიკური ბინების შეფასების საფუძველს,) სლოვაკეთის ხელისუფლებისათვის ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის თებერვლიდან. ამგვარად, ვერ დადგინდა, რომ სლოვაკეთის ხელისუფლება საქმეს უძღვებოდა აქტიურად და აუცილებელი გულმოდგინებით, რაც მოეთხოვებოდა კონვენციის მე-5 § 1 (f) მუხლით.

27 *Molla Sali v. Greece* (just satisfaction) [GC], no. 20452/14, 18 June 2020.

ანდერძს არ გააჩნდა სამართლებრივი შედეგი. ასე რომ, ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებით, მომჩივანმა დაკარგა ქმრის მიერ მისთვის ანდერძით დატოვებული ქონების სამი მეოთხედი. 2018 წლის 19 დეკემბრის თავის პრინციპულ (არსებით საკითხებზე) გადაწყვეტილებაში, ევროპულმა სასამართლომ ჰპოვა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა 1-ელი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთობლიობაში; მან დაადგინა, რომ მომჩივანმა განიცადა დისკრიმინაციული მოპყრობა.[28] იმ დროისათვის, 41-ე მუხლის გამოყენების საკითხი გადადებულ იქნა, და სწორედ ამიტომ ამ საკითხს ცალკე იხილავდა დიდი პალატა.

სამართლიანი დაკმაყოფილების გადაწყვეტილების კონტექსტში მატერიალურ ზიანთან დაკავშირებულ თავის მოთხოვნებში მომჩივანი ეძიებდა კომპენსაციას ქონების დაკარგვისათვის, რომელიც მდებარეობდა საბერძნეთსა და თურქეთში. სასამართლომ საბერძნეთში მდებარე ქონებასთან მიმართებაში დაადგინა, რომ საბერძნეთს უნდა გაეტარებინა ღონისძიებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომჩივანს შეენარჩუნებინა ქონებაზე მესაკუთრეობა, ანდა, თუკი მიწის რეგისტრაციის ცვლილება უკვე მომხდარი იყო, აღედგინა მისთვის მესაკუთრის სტატუსი; ხოლო სამართლიანი დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში შესაბამისი ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში, მომჩივნისათვის უნდა გადაეხადა კომპენსაცია – ღირებულება იმ ქონების პროპორციული ნაწილისა (სამი მეოთხედი), რომელიც მომჩივანმა დაჰკარგა შარიას კანონების საფუძველზე.

ამ საქმეში ის არის საინტერესო, თუ როგორ გადაწყვიტა სასამართლომ სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხი თურქეთში მდებარე ქონებასთან მიმართებაში. მან, ერთი მხრივ, უარყო თავისი იურისდიქცია თურქეთში მდებარე ქონებასთან დაკავშირებით, თუმცა, მეორე მხრივ, არაპირდაპირ დაავალდებულა თურქეთი ისეთი გადაწყვეტილება მიეღო, რომელიც მის გადაწყვეტილებასთან ჰარმონიაში იქნებოდა. კერძოდ: სასამართლომ დაადგინა, რომ გარდაცვლილის ანდერძის იმ ნაწილის სამართლებრივი შედეგები, რომელიც შეეხებოდა თურქეთში მდებარე ქონებას, წარმოადგენდა თურქეთში მიმდინარე სასამართლო განხილვების საგანს, ამიტომ მას არ გააჩნდა იურისდიქცია გადაწყვეტილება მიეღო მოსარჩელის მოთხოვნებზე ამ ქონებასთან დაკავშირებით.

იურისდიქციის უარყოფის დასაბუთება მოიცავს შემდეგ რამდენიმე ელემენტს:

პირველ რიგში, სასამართლომ უკუაგდო არგუმენტი, თითქოს საბერძნეთი ახორციელდებდა იურისდიქციას თურქეთში არსებულ ქონებაზე, რამდენადაც თურქეთის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საბერძნეთის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც მომჩივნის გარდაცვლილი მეუღლის ანდერძი ბათილად და არარად გამოაცხადა, დამავალდებელი იყო თურქეთის სასამართლოებისათვის საერთაშორისო კერძო სამართლის საფუძველზე, რაც იმას განაპირობებდა, რომ აუცილებელი აღარ იყო მისი მხრიდან საქმის გადასინჯვა. სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო აპელაციები, შეტანილი როგორც მომჩივნის, ისე, მოანდერძის დების მიერ, განხილვის პროცესში იყო სტამბულის სააპელაციო სასამართლოში, შესაბამისად, არ არსებობდა განსაკუთრებული გარემოებები, რომელთა გამოც შეიძლებოდა თქმულიყო, რომ საბერძნეთი ახორციელებდა თავის იურისდიქციას თურქეთში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში.

შემდეგ სასამართლომ თავისი იურისდიქცია შემოფარგლა საბერძნეთში მდებარე ქონებასთან მიმართებაში: მართალია ანდერძი არ ანსხვავებდა რაიმე ნიშნით თურქეთში და საბერძნეთში მდებარე ქონებებს, მაგრამ სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძი შეეხებოდა და აღწერდა მხოლოდ საბერძნეთში მდებარე ქონებას. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ როდესაც სასამართლომ 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლი გამოყენებადად ცნო თავისი პრინციპული გა-

28 სასამართლომ მიუთითა, რომ მუსლიმური რწმენის ბერძენთა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მოანდერძის მიერ შედგენილი ანდერძის ბენეფიციარი განსახვებულ, წამგებიან მდგომარეობაში იმყოფებოდა არამუსლიმანური რწმენის ბერძენთა სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე მოანდერძის მიერ შედგენილი ანდერძის ბენეფიციართან შედარებით, რასაც არ გააჩნდა ობიექტური და გონივრული გამართლება.

დაწყვეტილებით, ექსპლიციტურად მიუთითა მხოლოდ საბერძნეთში მდებარე ქონებაზე. შესაბამისად, მხოლოდ ამ საფუძვლებს უკავშირდებოდა სასამართლოს მხრიდან იმის შეფასება, იყო თუ არა დარღვეული კონვენციის მე-14 მუხლი 1-ელი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთობლიობაში. ასე რომ, სასამართლოს, არსებით საკითხებზე თავის გადაწყვეტილებაში, არ ჰქონდა დაკავებული არავითარი არსებითი პოზიცია მომჩივნის სავარაუდო უფლებებთან მიმართებაში, რომლებიც შეეხებოდა თურქეთში მდებარე ქონებებს. შესაბამისად, ეს საკუთრება ვერ გახდებოდა რაიმე სამართლებრივი დაკმაყოფილების მინიჭების საფუძველი მოპასუხე სახელმწიფოს წინააღმდეგ წინამდებარე გადაწყვეტილებაში, რომელიც მიღებული იქნა გადადებული 41-ე მუხლის საკითხზე პროცედურის ფარგლებში.

ამის შემდეგ, სასამართლომ მიიღო ზომები, რომ მომჩივნის უფლებები დაცული ყოფილიყო თურქეთში მდებარე ქონებასთან მიმართებაშიც და შესაბამისად დაასაბუთა ეს. მართალია, სასამართლო მუდმივად იმეორებდა, რომ კონვენციის 46-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება სავალდებულო იყო მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც შესაბამისი პროცესის მხარეებს წარმოადგენდნენ (საბერძნეთი, მოცემულ შემთხვევაში), მაგრამ, საყურადღებოა, რომ ამის მიუხედავად, გადაწყვიტა გამოეკვეთა ერთგვარი არაპირდაპირი ვალდებულება სახელმწიფოსი, რომელიც არ წარმოადგენდა შესაბამის პროცესში მხარეს *(მხედველობაშია თურქეთი, ე.გ.),* გაეთვალისწინებინა ევროპული სასამართლოს მხრიდან არსებით საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება და მის შესაბამისად გამოეტანა თავისი, ხოლო მომჩივანს კი შეახსენა, რომ შესაძლებლობა ექნებოდა საჩივრით მიემართა სასამართლოსათვის თურქეთის წინააღმდეგ, თუკი იგი არსებით საკითხებზე მის პრინციპულ გადაწყვეტილებას უგულებელყოფდა. კერძოდ სასამართლომ მიუთითა:

„ .... არაფერი უშლის ხელს თურქეთის სასამართლოებს, მხედველობაში მიიღონ სასამართლოს (იგულისხმება ევროპული სასამართლო, ე.გ) პრინციპული გადაწყვეტილება (judgment) თავიანთი გადაწყვეტილების მიღებისას. სასამართლო შემდგომ დააზუსტებს, რომ მომჩივანს, თუკი ეს შესაბამისია, ექნება შესაძლებლობა შეიტანოს საჩივარი თურქეთის წინააღმდეგ საბოლოო გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, რომელიც მიღებული იქნება თურქეთის სასამართლოების მიერ მომჩივნის ქმრის ანდერძზე თურქეთში მდებარე ქონებასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაწყვეტილება არ მიიღებს მხედველობაში სასამართლოს პრინციპულ გადაწყვეტილებას, რომელმაც საბერძნეთის პასუხისმგებლობა ცნო კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე 1-ელი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთობლიობაში და, თუ ის არ დააყენებს აუცილებელ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც გამომდინარეობს თურქეთის, როგორც კონვენციის ხელშემკვრელი მხარის სტატუსიდან“.

მიუხედავად არაპირდაპირი ხასიათისა და მორიდებული ფორმულირებისა *(„თურქეთის სასამართლოებს არაფერი უშლის ხელს მხედველობაში მიიღონ...“)*, ეს უთუოდ უნდა ჩაითვალოს შიდა სასამართლოებისათვის იმის მითითებად, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ მათ განხილვაში მყოფ კონკრეტულ საქმეზე, რაც, იმავდროულად, განჭვრეტადს ხდის მომავალი საჩივრის ბედს და თურქეთის პასუხისმგებლობას *„...თუ ის არ იიღებს მხედველობაში“* და *„...თუ ის არ დააყენებს აუცილებელ სამართლებრივ შედეგებს...“* ეს ნამდვილად არის ერთგვარი სიახლე და სუბსიდიურობის პრინციპის კიდევ უფრო განვრცობა, რა ტენდენციაც ბოლო წლებში აშკარად შეინიშნება.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პირობები მისი აგენტის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის, სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა პატიმრის გადაცემის შემთხვევებში

ამ მხრივ უაღრესად საინტერესო საქმე იყო *Makuchyan and Minasyan v. Azerbaijan and Hungary* [29], სადაც განხილული იყო საკითხი, თუ როდის შეიძლება შეერაცხოს სახელწიფოს მისი

29 *Makuchyan and Minasyan v. Azerbaijan and Hungary*, no. 17247/13, 26 May 2020.

აგენტის მიერ ჩადენილი ქმედება მიუხედავად იმისა, თუ ქმედება აგენტის მიერ ჩადენილი არ არის თავისი ოფიციალური უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში.

საქმის ფაქტები უკავშირდება ნატოს მიერ დასპონსორებული კურსის გავლაში მონაწილეობის დროს ბუდაპეშტში, აზერბაიჯანელი ოფიცერის (რ.ს.) მიერ სომეხი ოფიცრის მკვლელობას და სხვა სომეხი ჯარისკაცის მოკვლის მუქარას. რ.-ს.-ს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა უნგრეთში. 8 წლის საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდეგ ის გადაეცა აზებაიჯანს მისჯილი პირების გადაცემის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად (Council of Europe Convention on the Transfer of Sentenced Persons[30]). აზერბაიჯანში დაბრუნების შემდეგ იგი გათავისუფლეს, შეიწყალეს და დააწინაურეს. მას გადაუხადეს ხელფასი მთელი იმ დროისათვის, რომელიც მან გაატარა ციხეში. არაერთი მაღალი რანგის ოფიცერმა გამოთქვა კომენტარი, სადაც ისინი ამართლებდნენ მის საქციელს და იწონებდნენ მისი შეწყალების ფაქტს. საჩივარი შეტანილ იქნა მე-2 მუხლის საფუძველზე, როგორც ცალკე, ისე მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. სასამართლომ ამ საქმეში დანერგა გარკვეული სიახლეები და მნიშვნელოვანი პრინციპები სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მიჯნების თაობაზე ქმედებებისათვის, რომლებიც არ შეერაცხებოდა სახელმწიფოს და, ასევე, ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მოვალეობების შესახებ მისჯილი პატიმრების გადაცემის საკითხებში.

პირველი საკითხი, რომელიც სასამართლომ განიხილა, შეეხებოდა იმას, უნდა ყოფილიყო თუ არა აზერბაიჯანი პასუხისმგებელი საკუთრივ ოფიცრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის და, შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი დარღვევისათვის.

სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ რ.ს. მკვლელობის ჩადენისას არ მოქმედებდა თავისი ოფიციალური უფლებამოსილების განხორციელების ანდა ზემდგომის ბრძანების შესრულების პროცესში. მან ასევე უარყო მომჩივანთა არგუმენტი, რომელიც ეფუძნებოდა არამართლზომიერი საერთაშორისო აქტებისათვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის თაობაზე გაეროს შაბლონურ მუხლებს (UN Draft Articles on the Responsibility of States of Internationally Wrongful Acts)[31].

სასამართლომ მიუთითა, რომ გაეროს აქტის მე-11 მუხლი ძალიან მაღალ მიჯნას აწესებდა სახელმწიფოსათვის ამ კონტექსტში. ეს მიჯნა არ იყო შემოსაზღვრული შესაბამისი აქტის მხოლოდ მოწონებითა და მხარდაჭერით სახელმწიფოს მხრიდან; არამედ მოითხოვდა ორი პირობის დაკმაყოფილებას კუმულაციურად: შესაბამისი აქტის აშკარა და ცალსახა „აღიარებას“ (“acknowledgement”) და სამართლებრივ დადასტურებას (“adoption”) იმისა, რომ იგი ჩადენილი იქნა თავად სახელმწიფოს მიერ.

მართალია, აზერბაიჯანის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები აშკარად გამოხატავდა რ.ს.-ის დანაშაულებრივი აქტის „მოწონებას“ (“approval”) და „მხარდაჭერას“ (“endorsement”), მაგრამ არ იყო სარწმუნოდ ნაჩვენები, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფომ „აშკარად და ცალსახად“ (“clearly and unequivocally”) „აღიარა“ (“acknowledged”) და „სამართლებრივად დაადასტურა“ (“adopted”) რ.ს.-ის აქტი როგორც „მისი საკუთარი“ (“as its own”). შესაბამისად, არ არსებობდა საფუძველი პირდაპირი და კატეგორიული მტკიცებისათვის, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო ერთი მსხვერპლის მკვლელობისა და მეორე მსხვერპლის მკვლელობის მცდელობისათვის. უფრო სწორი იქნებოდა განმარტებულიყო, რომ აზერბაიჯანის მიერ გატარებული ღონისძიებების მიზანს წარმოადგენდა ამ საქმისადმი დამოკიდებულის ჩვენება საჯაროდ და რ.ს.-ის პირადი, პროფესიული და ფინანსური ვითარების გამოსწორება, რასაც სასამართლოს აზრით, არ გააჩნდა არავითარი გამართლება. ამგვარად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აზერბაიჯანის მიერ აშკარა მოწონება და მხარდაჭერა დანაშაულისა, რომელიც ჩადენილი იყო მისი შეიარაღებული ძალების ოფიცრის მიერ თავისი პირადი ქმედებით (in a private capacity) და არა ოფიციალური მოვალეობების შესრულებისას, არ იწვევდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას კონვენციის მე-2 მუხლის არსებით დარღვევასთან (under the substantive limb of Article 2) მიმართებაში.[32]

30 Convention on the Transfer of Sentenced Persons, ETS 112.

31 Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, Report of the International Law Commission on the Work of its 53rd Session 2001, UN Doc. A/56/10.

32 სწორედ ამავე მიზეზით არ დაადასტურა ევრო-

თუმცა, აზერბაიჯანის მიერ უნგრეთის მიერ მისჯილი სასჯელის სრულიად გაუმართლებელი აღუსრულებლობა იმასთან ერთად, რომ რ.ს. ლამის გმირად იქნა გამოცხადებული და თან უამრავი ბენეფიტი ებოძა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მიჩნეულ იქნა, როგორც მე-2 მუხლის პროცედურულ ვალდებულებებთან შეუთავსებელი; სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ იმ სასჯელის აღსრულება, რომელიც დაკისრებული იქნა სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე, უნდა დანახულიყო როგორც მე-2 მუხლის პროცედურული ვალდებულებების განუყოფელი ნაწილი. იმის მიუხედავად, თუ სად იყო დანაშაული ჩადენილი, და იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანი ეთანხმებოდა პატიმრის გადაცემას და პატიმრის გადაცემის კონვენციის შესაბამისად იღებდა პასუხისმგებლობას, გაეგრძელებინა რ.ს.-ს პატიმრობის სასჯელის აღსრულება, ამის შესრულება სავალდებული იყო მე-2 მუხლის პროცედურული ვალდებულებების თანახმად. აქედან გამომდინარე, შესაბამისად არსებობდა განსაკუთრებული მახასიათებლები („special features"), რომლებიც მიუთითებდა მე-2 მუხლის პროცედურულ ვალდებულებებთან აზერბაიჯანის იურისდიქციულ კავშირზე (*Kitanovska Stanojkovic and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia*[33], და *Güzelyurtlu and Others v. Cyprus and Turkey*[34]). სასამართლომ მიუთითა, რომ აზერბაიჯანის ქმედება, რომელმაც ფაქტობრივად, დაუსჯელობა განუსაზღვრა რ.ს.-ს მის მიერ ეთნიკურ საფუძველზე ჩადენილი ძალზე სერიოზული დანაშაულისათვის, შეუთავსებელი იყო კონვენციის მე-2 მუხლის წინაშე მის ვალდებულებებთან.

აღნიშნული საქმე საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, თუ როგორ ყალიბდება კონვენციის წინაშე პასუხისმგებლობის ფარგლები სახელმწიფოსათვის, როდესაც ის ახდენს პატიმრის გადაცემას სხვა სახელმწიფოში და, შეუძლია თუ არა მას, საზოგადოდ, დაეყრდნოს პრეზუმფციას, რომ ევროპის საბჭოს სხვა წევრი სახელმწიფო იმოქმედებს კეთილსინდისიერად და ბოლომდე მიიყვანს გამგზავნ სახელმწიფოში მისჯილი სასჯელის ბოლომდე აღსრულებას. ამ საქმეში სასამართლომ პირველად განიხილა მიმსჯელი ქვეყნის ვალდებულებათა ფარგლები სასჯელის მოხდის აღსრულების გაგრძელების საკითხში სხვა ქვეყანაში პატიმრის გადაცემის შემდეგ, განსაკუთრებით დანაშაულის მსხვერპლთა და მათ ნათესავთა უფლებების დაცვის ჭრილში.

ამ საქმემ სტრასბურგის სასამართლოს მისცა შესაძლებლობა, გამოეყენებინა თავისი პრეცედენტული სამართალი ერთი მხრივ სახელმწიფოს იურისდიქციის (მუხლი 1) და, მეორე მხრივ, მე-2 მუხლის პროცედურულ ნაწილთან საჩივრის შეთავსებადობის საკითხზე *ratione loci* საფუძვლით, აზარბაიჯანის სახელმწიფოს მიმართ, ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც მისჯილი პატიმრის გადაცემა მიმსჯელი ქვეყნიდან ხდება მშობლიურ ქვეყანაში იმ მიზნით, რომ მან გააგრძელოს სასჯელის მოხდა თავის ქვეყანაში.

აზერბაიჯანთან მიმართებისაგან განსხვავებით, სასამართლომ ვერ ჰპოვა მე-2 მუხლის პროცედურული დარღვევა უნგრეთთან მიმართებაში, მიუთითა რა, რომ იგი მოქმედებდა პატიმართა გადაცემის შესახებ კონვენციის პროცედურების შესაბამისად, რათა დარწმუნებულიყო, რომ რ.ს. გააგრძელებდა სასჯელის მოხდას აზერბაიჯანში. სასამართლომ მიიჩნია, რომ უნგრეთის ხელისუფლებამ გაატარა საკმარისი ღონისძიებები ამ მიმართებით, მისდია რა გადაცემის შემდგომ პროცედურებს, რაც სასჯელმისჯილი პატიმრის გადაცემის კონვენციით იყო გათვალისწინებული. უნგრეთის ხელისუფლების ორგანოებმა აზერბაიჯანისაგან მოითხოვეს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა პროცედურა მოჰყვებოდა რ.ს.-ის სამშობლოში დაბრუნებას. მართალია, ამ საკითხზე აზერბაიჯანის პასუხი იყო არასრული და ზოგადი, ფაქტობრივად, მაინც არ არსებობდა მყარი მტკიცებულება იმის საჩვენებლად, რომ უნგრეთის ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო, რომ რ.ს.-ს გაათავისუფლებდნენ აზერბაიჯანში მისი დაბრუნებისთანავე. სასამართლომ მუთითა, რომ იმ დროის გათვალისწინებით, რაც რ.ს.-მ ფაქტობრივად მოიხადა უნგრეთის ციხეში, იგი ვერ ხედავდა, კიდევ რა უნდა გაეკეთებინათ უნგრეთის კომპეტენტურ ორგანოებს, გარდა იმისა, რომ დაეცვათ პატიმრის გადაცემის კონვენციით გათვალისწინებული პროცედურა

პულმა სასამართლომ მე-2 მუხლის არსებითი დარღვევა გირგვლიანის საქმეშიც (*Enukidze and Girgvliani v. Georgia*, judgment of 26 April 2011)

33 *Kitanovska Stanojkovic and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, no. 2319/14, 13 October 2016.

34 *Güzelyurtlu and Others v. Cyprus and Turkey* [GC], no. 36925/07, 29 January 2019.

და მიჰყოლოდნენ პრეზუმფციას, რომ ევროპის საბჭოს სხვა წევრი სახელმწიფო იმოქმედებდა კეთილსინდისიერად.

დაბოლოს, ეს გადაწყვეტილება ასევე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, თუ რა ფორმით განიხილა სასამართლომ საკითხი, წარმოადგენდა თუ არა ეთნიკური სიძულვილის საფუძველზე საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის საზღვარგარეთ მისჯილი სასჯელის აღუსრულებლობა დისკრიმინაციულ მოპყრობას კონვენციის მე-14 მუხლის გაგებით მე-2 მუხლის პროცედურულ ნაწილთან ერთობლიობაში. გადაწყვეტილება ასევე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, თუ როგორ გაანაწილა ევროპულმა სასამართლომ მტკიცების ტვირთი ამ საკითხში (*Nachova and Others v. Bulgaria*[35]).

ამ საქმის განსაკუთრებული მახასიათებლების გათვალისწინებით (რ.ს.-ის დაწინაურება, მისთვის არაერთი ბენეფიტის მინიჭება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, პრეზიდენტის მიერ სპეციალური ვებგვერდის შექმნა რ.ს.-ის მიმართ აღფრთოვანების გამოხატვით), მიჩნეულ იქნა, რომ მომჩივნებს უნდა წარმოედგინათ საკმარისად მყარი, აშკარა და თანმიმდევრული დასკვნები იმისათვის, რათა დაეფუძნებინათ *prima facie* დისკრიმინაციის საქმე, კერძოდ, ის, რომ გატარებული ღონისძიებები იყო რასობრივად მოტივირებული. იმის გათვალისწინებით, თუ რა რთული იქნებოდა მომჩივნებისათვის ასეთი მიკერძოება – ემტკიცებინათ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, სასამართლომ შეცვალა მტკიცების ტვირთი და აზერბაიჯანს გადააკისრა იმის დამტკიცების ვალდებულება, რომ გაებათილებინა ბრალდება დისკრიმინაციის შესახებ, რაც მან ვერ შეძლო.

ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლება

ქვემოთ განხილულ ოთხ საქმეში, სადაც გამოხატვის თავისუფლება აღმოჩნდა ღირებულებით კონფლიქტში სხვა სიკეთეებთან, სასამართლომ ოთხივე შემთხვევაში მის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტა მიიჩნია კონკურენტული ინტერესების სამართლიან დაბალანსებად.

საქმეში *Magyar Kétfarkú Kutya Párt v. Hungary*[36] საკითხის გადაწყვეტა გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ დაეფუძნა შემზღუდველი დებულებების არასაკმარის განჭვრეტადობას, კერძოდ დებულებისა, რომელიც შეეხებოდა არჩევნებისა და რეფერენდუმის კონტექსტს და ითვალისწინებდა პოლიტიკური პარტიებისათვის შეზღუდვებს. საქმის ფაქტები შეეხებოდა 2016 წელს უნგრეთში ჩატარებულ რეფერენდუმს ევროპის კავშირის საკითხზე. მომჩივანმა პოლიტიკურმა პარტიამ ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი გახადა მობილური ტელეფონის აპლიკაცია, რომელიც იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ ანონიმურად მოეხდინათ თავიანთი კენჭისყრის დოკუმენტების – ბიულეტენების – ფოტოგადაღება და სხვებისთვის გაზიარება. კერძო ინდივიდის საჩივრის საფუძველზე, არჩევნების ეროვნულმა კომისიამ მომჩივანი პარტია დააჯარიმა არჩევნების სამართლიანობისა და ფარულობის პრინციპების, ასევე, იმ პრინციპის დარღვევისათვის, რომელიც გულისხმობს „უფლებათა განხორციელებას მათი განზრახულობების/მიზნების შესაბამისად“ (“exercise of rights in accordance with their purpose”). ეროვნულმა სასამართლომ (*Kúria)* ძალაში დატოვა საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ამ უკანასკნელი პრინციპის მიმართ, მაგრამ უარყო მისი დასკვნა ფარული ხმის მიცემისა და რეფერენდუმის სამართლიანობის თაობაზე. მომჩივანი პარტიის საკონსტიტუციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

დიდმა პალატამ საქმე განიხილა შემზღუდველი ღონისძიების მართლზომიერების ჭრილში კონვენციის მე-10 მუხლის გაგებით და დასკვნა, რომ კანონმდებლობის დებულება იმის თაობაზე, რომ *„უფლებათა განხორციელება უნდა მომხდარიყო მათი მიზნების შესაბამისად“*, არ იყო საკმარისი სიცხადით ჩამოყალიბებული, იმისათვის, რათა გამოერიცხა ყოველგვარი თვითნებობა და საშუალება მიეცა მომჩივანი პარტიისათვის, შესაბამისად დაერეგულირებინა თავისი საქმიანობა. ამგვარად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

საგულისხმოა, რომ ამ გადაწყვეტილებით, სასამართლომ დაადგინა გაჭვრეტადობის ის ხარისხი, რაც მოეთხოვებოდა პოლიტიკური

35 *Nachova and Others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98 and 43579/98, § 157, ECHR 2005-VII. 35.

36 *Magyar Kétfarkú Kutya Párt v. Hungary* [GC], no. 201/17, 20 January 2020

პარტიებისათვის შეზღუდვის დამდგენ სამართლებრივ ნორმას არჩევნებისა და რეფერენდუმის კონტექსტში. სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიტიკური პარტიების გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვები საარჩევნო კონტექსტში, სკურპულოზურ ზედამხედველობას ექვემდებარებოდა. ასეთივე მიდგომა, გამოიყენებოდა, mutatis mutandis, რეფერენდუმის კონტექსტში, რომელიც მიზნად ისახავდა ელექტორატის ნების იდენტიფიცირებას საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხზე. ამგვარი ზედმიწევნითი შემოწმება ბუნებრივად ვრცელდებოდა იმის შეფასებაზეც, იყო თუ არა სამართლებრივი ბაზა, რომლის საფუძველზეც მოხდა პოლიტიკური პარტიის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, საკმარისად ცხადი და განჭვრეტადი, რათა მას გამოერიცხა მისი თვითნებური გამოყენება. დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების დაცვა ხელისუფლების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან ემსახურებოდა საკუთრივ დემოკრატიას, რამდენადაც საარჩევნო კონტექსტში ნებისმიერ შეზღუდვას გამოხატვის თავისუფლებისა, რომელიც ხორციელდებოდა არასაკმარისად განჭვრეტადი სამართლებრივი ბაზის საფუძველზე, შეეძლო ზიანი მიეყენებინა ღია პოლიტიკური დებატების, ხმის მიცემის პროცესის ლეგიტიმურობისა და მისი შედეგებისათვის, ასევე, მოქალაქეთა ნდობისათვის დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი და მათი რწმენისათვის, რომ ისინი სამართლის უზენაესობის დაცვით საქმიანობდნენ. სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივანი პარტია მხოლოდ იმას კი არ ეძიებდა, რომ უზრუნველეყო ერთგვარი ფორუმი ამომრჩევლებისათვის, სადაც ისინი თავიანთ აზრებსა და დამოკიდებულებებს გამოხატავდნენ, არამედ მოეხდინათ პოლიტიკური გზავნილის გადაცემა რეფერენდუმის საკითხზე. შესაბამისად, მოხდა მის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ორივე ასპექტში – ფორუმის უზრუნველყოფაში და ინფორმაციისა და იდეების გადაცემაში.

სასამართლოს პოზიციით, მთავარ საკითხს წარმოადგენდა შემდეგი: იცოდა თუ არა, ანდა, უნდა სცოდნოდა თუ არა, საჭიროების შემთხვევაში თუნდაც სამართლებრივი დახმარების გზით, პოლიტიკურ პარტიას, რომ მისი ქცევა დაარღვევდა საარჩევნო კანონმდებლობას, იმგვარ პირობებში, როდესაც არ არსებობდა საარჩევნო კანონმდებლობის დამავალდებულებელი დებულება, რომელიც ექსპლიციტურად დაარეგულურებდა საარჩევნო ბიულეტენების ფოტოგადაღებისა და გავრცელების მიზნით მათი ანონიმური ატვირთვის საკითხს მობილური ტელეფონების აპლიკაციის მეშვეობით ხმის მიცემის მიმდინარეობის პერიოდში.

სასამართლომ მიუთითა, რომ ეროვნულ საკონსტიტუციო სასამართლოსაც ჰქონოდა მითითებული ბუნდოვანებასა და განუსაზღვრელობაზე პრინციპისა, რომ „უფლებათა განხორციელება მათი მიზნების შესაბამისად უნდა მოხდარიყო“, რომელსაც ხელისუფლება დაეყრდნო. რელევანტური კანონმდებლობა არ აკონკრეტებდა, თუ რას წარმოადგენდა ამ პრინციპის დარღვევა, არ ადგენდა რაიმე კრიტერიუმებს, რომლებიც გამოყენებული იქნებოდა იმის დადგენისას, თუ როგორი ვითარება ჩაითვლებოდა ასეთად, არ მიუთითებდა შესაბამის მაგალითებს. შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო საარჩევნო ორგანოებსა და სასამართლოებს ფართო მიხედულებას ანიჭებდა ნორმების განმარტებისა და გამოყენების საკითხში. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლომ დაავიწროვა ამ პრინციპის შინაარსი და მასში მოიაზრა ხმის მიცემასთან დაკავშირებული მხოლოდ ისეთი ქმედებები, რომლებიც „ნეგატიურ შედეგებს“ უკავშირდებოდა, თუმცა, გაურკვეველი რჩებოდა, „ნეგატიური შედეგი“ რეალური უნდა ყოფილიყო, თუ მასში პოტენციური შედეგიც იგულისხმებოდა. ეს საკითხი საგულისხმო იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ როგორც საკუთრივ ეროვნულმა სასამართლომ დაადასტურა, მომჩივან პარტიას არ ჰქონდა დარღვეული რეფერენდუმის ჩატარების სამართლიანობისა და ხმის მიცემის ფარულობის პრინციპები.

გაითვალისწინა რა არჩევნებისა და რეფერენდუმის კონტექსტში პოლიტიკური პარტიის გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი კანონის განჭვრეტადობის დიდი მნიშვნელობა, სასამართლომ დაადგინა, რომ სამართლებრივი დებულებების პოტენციური შედეგების მიმართ მნიშვნელოვანმა განუსაზღვრელობამ გადააჭარბა იმ ზღვარს, რაც შეიძლებოდა მისაღები ყოფილიყო კონვენციის მე-10 (§ 2) მუხლის საფუძველზე.

საქმეში *Selahattin Demirtaş v. Turkey*[37] სასამა-

37 *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], no. 14305/17, 22 December 2020.

რთლომ განიხილა პარლამენტის ოპოზიციური პარტიის წევრის მიერ იმუნიტეტის დაკარგვა და მისი გახანგრძლივებული წინასწარი პატიმრობა, რომელიც წარმოადგენდა მისი პოლიტიკური გამოსვლების შედეგს. სასამართლომ ცხადი გახადა, თუ რა გავლენას იქონიებდა მე-10 მუხლის დარღვევის აღიარება მე-5 მუხლის და 1-ელი ოქმის მე-3 მუხლის (კერძოდ, პარლამენტში არჩევის უფლების) დარღვეულად ცნობაზე.

მომჩივანი იყო თურქეთის პარლამენტის არჩეული წევრი და თანათავმჯდომარე სახალხო დემოკრატიული პარტიისა, რომელიც წარმოადგენდა მემარცხენე პროქურთულ პოლიტიკურ პარტიას. 2016 წლის 20 მაისს მიღებულ იქნა კონსტიტუციური შესწორება, რომლის მიხედვით, საპარლამენტო იმუნიტეტი პარლამენტის წევრს მოეხსნებოდა ყველა შემთხვევაში, თუ მოთხოვნა მისთვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე ეროვნულ ასამბლეაში გადაცემული იყო ამ კონსტიტიუციური შესწორების განხორციელებამდე. ამ რეფორმის განხორციელებას ბიძგი მისცა სირიაში მომხდარმა შეტაკებებმა დაეშებსა (არაბებს) და ქურთისტანის მუშათა პარტიასთან (PKK) დაკავშირებულ ძალებს შორის, ასევე, თურქეთში ძალადობის სერიოზულმა ფაქტებმა 2014 და 2015 წლებში, მას შემდეგ, რაც ჩაიშალა მოლაპარაკებები „ქურთული“ საკითხის მოგვარების შესახებ. მომჩივანი, რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული ამ პროცესში თავისი გამოსვლებითა და განცხადებებით, იყო ერთ-ერთი 154 პარლამენტის წევრიდან, რომლებიც დაზიანდნენ კონსტიტუციურ შესწორების ამოქმედების შედეგად. 2016 წლის ნოემბერში იგი დააკავეს შეიარაღებული ტერორისტული ორგანიზაციის წევრობისა და დანაშაულისაკენ სხვა პირთა წაქეზების ეჭვის საფუძველზე. დამატებითი გამოძიების განმავლობაში იგი იმყოფებოდა პატიმრობაში საქმის სასამართლო განხილვის მოლოდინში. მისი საპარლამენტო მანდატი ამოიწურა 2018 წლის ივნისში. დიდმა პალატამ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმით, რომ სასამართლომ განიხილა კონსტიტუციური შესწორების შეთავსებადობა კონვენცის მე-10 მუხლით მოთხოვნილ განჭვრეტადობასთან და მიუთითა, რომ მე-10 მუხლის დარღვევის აღიარება გავლენას იქონიებდა კონვენციის 1-ელი ოქმის მე-3 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის განხილვაზე.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო სასამართლოს მიერ პარლამენტის წევრის სიტყვის თავისუფლების დიდ მნიშვნელობაზე ხაზგასმა და იმის შეხსენება, რომ მისი სიტყვა დაცული იყო იმუნიტეტით. კერძოდ, მან განმარტა, რომ როდესაც სახელმწიფო უზრუნველყოფდა საპარლამენტო იმუნიტეტს სისხლისსამართლებრივი დევნისა და თავისუფლების აღკვეთისაგან, შიდა სასამართლოებს უნდა შეემოწმებინათ, გააჩნდა თუ არა შესაბამისი პარლამენტის წევრს იმუნიტეტი იმგვარი აქტების მიმართ, რომელთა ჩადენაშიც წარედგინა ბრალი. როდესაც ბრალდება/წინასწარი პატიმრობა დაკავშირებული იყო სიტყვასთან, შიდა სასამართლოების ამოცანას წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, ხომ არ იყო ეს სიტყვა დაცული პარლამენტის წევრის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების (“non-liability”) პრინციპით (იგულისხმება პარლამენტის წევრის ინდემნიტეტი). სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ საქმეში შიდა სასამართლოებმა ვერ მოახერხეს ამ პროცედურული ვალდებულების შესრულება, რომელიც წარმოიშობოდა როგორც მე-10 მუხლის, ისე, 1-ელი ოქმის მე-3 მუხლის საფუძველზე.

ევროპულმა სასამართლომ მთლიანად გაიზიარა ვენეციის კომისიის მოსაზრება, რომ სადავო კონსტიტუციური შესწორება პირდაპირ გამიზნული იყო პარლამენტის წევრების, განსაკუთრებით, ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებებზე და წარმოადგენდა „კონსტიტუციური შესწორების პროცედურის“ ბოროტად გამოყენებას. პარლამენტის წევრებს არ შეიძლება ჰქონოდათ გონივრული მოლოდინი, რომ ამგვარი პროცედურა მათი უფლებამოსილების ვადაში იქნებოდა ამოქმედებული. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ამიტომ ვერ იქნებოდა განჭვრეტადი. შესაბამისად, სახეზე იყო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პარლამენტის წევრის (განსაკუთრებით კი – ოპოზიციის წარმომადგელის) გამოხატვის თავისუფლების იმგვარ მნიშვნელობაზე, რომ როდესაც პარლამენტის წევრის დაპატიმრება შეუთავსებელი იყო მე-10 მუხლთან, ასევე მიჩნეული უნდა ყოფილიყო 1-ელი ოქმის მე-3 მუხლის (არჩევის უფლება) დარღვევაც.

საქმეში *Baldassi and Others v. France*[38] სასამართლომ განიხილა, წარმოადგენდა თუ არა ბოიკოტისაკენ მოწოდება აზრის გამოხატვის ისეთ ფორმას, რომელიც დაცული იყო კონვენციის მე-10 მუხლით. სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტებები და მიუთითა სახიფათო ზღვარზე, რომელიც არ უნდა გადალახულიყო ბოიკოტისაკენ მოწოდებების დროს.

საქმე შეეხებოდა პალესტინის საკითხზე იმ აქტივისტების სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას, რომლებიც ჩართული იყვნენ საერთაშორისო კამპანიაში „ბოიკოტი, მხილება და სანქციები". კამპანია წამოიწყეს პალესტინის არასამთავრობო ორგანიზაციებმა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ გამოაქვეყნა მოსაზრება ისრაელში გამყოფი ბარიერის უკანონობის თაობაზე, რაც მიზნად ისახავდა ისრაელზე ზეწოლას, რათა ის დამორჩილებოდა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს. მომჩივნები ბრალეულად იქნენ ცნობილი ეკონომიკური დისკრიმინაციის წაქეზებისათვის პრესის თავისუფლების შესახებ 1981 წლის 29 ივლისის 24(8) მუხლის საფუძველზე. კერძოდ, მათ ბარალად დაედოთ იმ საქმიანობაში ჩართულობა, რომელიც ხორციელდებოდა ისრაელის პროდუქციის წინააღმდეგ ბოიკოტის მიზნით. მომჩივნებმა იჩივლეს კონვენციის მე-7 და მე-10 მუხლების საფუძველზე. მათ ხაზი გაუსვეს, რომ დებულებაში, რომლის საფუძველზეც ისინი გაასამართლეს, სიტყვებს – „დისკრიმინაციისაკენ წაქეზება" – ძალზე ზოგადი შინაარსი გააჩნდა. მათი აზრით, ძალზე ფართო ტერმინი იყო გამოყენებული იმგვარ ამბივალენტურ კონცეპტში, როგორიც იყო „დისკრიმინაცია". ეს კი, მათი აზრით, კონვენციის მე-7 მუხლს ეწინააღმდეგებოდა. ევროპული სასამართლო „დისკრიმინაციის" კონცეპტის განუჭვრეტელობის საკითხში არ დაეთანხმა მომჩივნებს და ვერ ჰპოვა კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევა, მაგრამ დაადგინა, რომ მე-10 მუხლი დარღვეული იყო.

სასამართლოს მანამდე კიდევ ჰქონდა იშვიათი შესაძლებლობა, გაენიხილა ბოიკოტისაკენ მოწოდების კონვენციის მე-10 მუხლთან შეთავსებადობის საკითხი. ეს იყო საქმე *Willem v. France*[39], რომელიც არაერთხელ მოიხსენია სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტილებაში.

მოცემულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ პირველად იმსჯელა და დაადასტურა, რომ ბოიკოტი წარმოადგენდა საპროტესტო აზრის გამოხატვის საშუალებას, თუმცა, მიუთითა ფარგლებზე, რომელიც არ უნდა ყოფილიყო გადალახული კონვენციის მე-10 მუხლის საერთო ჩარჩოს გათვალისწინებით. სასამართლომ მიუთითა შემდეგი:

„ბოიკოტი წარმოადგენს პირველ და ძირითად საშუალებას სახალხო პროტესტის გამოხატვისა. ბოიკოტისაკენ მოწოდება, რომელიც მიზნად ისახავს საპროტესტო აზრის კომუნიკაციას და გულისხმობს გარკვეული ქმედებებისაკენ მოწოდებას, პრინციპულად დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით" (§ 63). „თუმცა, ბოიკოტისაკენ მოწოდება სპეციფიკური ფორმაა გამოხატვის თავისუფლებისა, ვინაიდან მასში საპროტესტო აზრის გამოხატვა კომბინირებულია განსხვავებული მოპყრობის წაქეზებასთან, რაც, განსაზღვრულ გარემოებებში, წარმოადგენს სხვების წინააღმდეგ დისკრიმინაციისკენ წაქეზებას. დისკრიმინაციისაკენ წაქეზება წარმოადგენს შეუწყნარებლობისაკენ წაქეზების ფორმას, რომელიც, ძალადობისა და სიძულვილის წაქეზებასთან ერთად, წარმოადგენს იმ ზღვარს, რომელიც არასდროს უნდა გადაიკვეთოს გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას (იხ. მაგ. Perinçek, ზემოთ მითითებული § 240). თუმცა, განსხვავებული მოპყრობის წაქეზება ყოველთვის როდი წარმოადგენს დისკრიმინაციის წაქეზებას" (§ 64).

ჩარევის (მომჩივანთა მსჯავრდება) აუცილებლობის შეფასებისას, სასამართლომ გამოიყენა სამეტაპიანი მიდგომა: პირველ რიგში, მან წინამდებარე საქმე განასხვავა *Willem*-ის საქმიდან, რომელიც შეხებოდა ქალაქის მერის – რომელიც შეზღუდული იყო მერის მანდატიდან წარმომდგარი მოვალეობებითა და პასუხისმგებლობით – დასჯას დისკრიმინაციის წაქეზებისათვის და არა აზრის გამოხატვისათვის. გაიმეორა რა იმ მიჯნების შესახებ, რომელიც არასდროს უნდა გადაკვეთილიყო გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მომჩივნები არ იყვნენ დასჯილი რა-

38 *Baldassi and Others v. France*, nos. 15271/16 and 6 others, 11 June 2020.

39 *Willem v. France*, no. 10883/05, 16 July 2009.

სისტული, ანტისემიტური განცხადებებისათვის ანდა სიძულვილის გაღვივებისა თუ ძალადობისაკენ წაქეზებისათვის; არც იმისთვის, რომ თვითონ იყვნენ ჩართული ძალადობის ან ზიანის მიმყენებელ საქმიანობაში.

იმ კანონის ინტერპრეტაციის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების გარეშე, რომელსაც მომჩივანთა მსჯავრდება ემყარებოდა, კერძოდ, „ეკონომიკური დისკრიმინაციისაკენ წაქეზება", სასამართლომ შეამოწმა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა, რომლითაც ისინი დამნაშავეებად იქნენ ცნობილი. სასამართლომ მიუთითა, რომ ფრანგული სამართალი, როგორადაც იგი იყო განმარტებული და გამოყენებული მოცემულ საქმეში, კრძალავდა პროდუქტების წინააღმდეგ ყველანაირ მოწოდებას ბოიკოტისაკენ მათი გეოგრაფიული წარმოშობის მიხედვით, მიუხედავად ბოიკოტის საფუძვლებისა და მოწოდებასთან დაკავშირებული გარემოებებისა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მსჯავრდების სამართლებრივი საფუძვლების განხილვისას არ გადმოსცეს კონკრეტული მიზეზები, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა ისეთ მიმართებებში, რომლისთვისაც კონვენცია გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალ ხარისხს მოითხოვდა. მართლაც, ერთი მხრივ, მომჩივანთა მოქმედებები და განცხადებები შეეხებოდა საჯარო ინტერესის საგანს, კერძოდ, ისრაელის სახელმწიფოს ქმედებების საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობას და ადამიანის უფლებათა ვითარებას პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რაც იმ პერიოდში წარმოადგენდა საჯარო განხლვის საგანს საფრანგეთში და მთელ საერთაშორისო საზოგადოებაში. მეორე მხრივ, ქმედებაც და განცხადებებიც თავსდებოდა პოლიტიკური თუ საბრძოლო გამოხატვის ფარგლებში.

სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანთა მსჯავრდება არ ეყრდნობოდა შესაბამის და საკმარის საფუძვლებს, რომელიც მე-10 მუხლის პრინციპებთან შესაბამისობას და ფაქტების ადეკვატურ შეფასებას ეფუძნებოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი დარღვეული იყო.

მე-4 საქმე კი – *Miljević v. Croatia*[40] – შეეხებოდა განსასჯელის სიტყვის თავისუფლებას. სასამართლომ აღნიშნულ საქმეში განიხილა დიფამაციისათვის მსაჯავრდება იმ განცხადებების საფუძველზე, რომელიც გაკეთებული იქნა სისხლისსამართლებრივი პროცესის მიმდინარეობისას ისეთი პირის მისამართით, რომელიც არ იყო ამ პროცესის მონაწილე.

მომჩივანმა, ომის დანაშაულის ბრალებით მისი საქმის სასამართლო განხილვისას, გააკეთა განცხადებები თავის დასაცავად. კერძოდ, მან ბრალი დასდო I.P.-ს (რომელიც არ წარმოადგენდა პროცესის მონაწილეს) მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის წაქეზებაში, მოწმეთა მოსყიდვის/შეგულიანებისა და კრიმინალური უწყებისათვის ინსტრუქციის მიცემაში მისი დამნაშავედ ცნობის მიზნით. მომჩივანი გამართლდა ომის დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ, მოგვიანებით, იგი დამნაშავედ ცნეს სისხლისსამართლებრივი დიფამაციის პროცესის შედეგად, რომელიც მის წინააღმდეგ წამოიწყო I.P.-მ მის წინააღმდეგ თქმული განცხადებების გამო. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

გადაწყვეტილება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ სასამართლოს პირველად მიეცა შესაძლებლობა დაებალანსებინა სისხლის სამართლის პროცესის დროს ბრალდებულის გამოხატვის თავისუფლება (მე-10 მუხლი) რეპუტაციის დაცვის უფლებასთან მიმართებაში (მე-8 მუხლი) სრულიად ახლებურ კონტექსტში, როდესაც დიფამაციური განცხადებები გაკეთებული იქნა მესამე მხარის მისამართით, რომელსაც არ გააჩნდა რაიმე ფორმალური როლი შესაბამის პროცესში (შეადარეთ წინა საქმეებს, სადაც მსაჯულის დიფამაციური განცხადებები მიმართული იყო მოსამართლის ან პროკურორის წინააღმდეგ (მაგალითად, *Lešník v. Slovakia*,[41] *Skałka v. Poland*[42]) , ანდა სადაც დამცველი ადვოკატი აკეთებდა ამგვარ განცხადებებს მოსამართლეების, პროკურორების, მოწმეებისა თუ პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ (მაგალითად, *Nikula v. Finland,*[43] *Kyprianou v. Cyprus*[44]*).*

სასამართლომ მიუთითა, რომ მე-8 და მე-

40 *Miljević v. Croatia*, no. 68317/13, 25 June 2020.

41 *Lešník v. Slovakia*, no. 35640/97, ECHR 2003-IV.

42 *Skałka v. Poland*, no. 43425/98, 27 May 2003.

43 *Nikula v. Finland*, no. 31611/96, 21 March 2002.

44 *Kyprianou v. Cyprus* [GC], no. 73797/01, ECHR 2005-XIII.

10 მუხლები, ჩვეულებრივ, ერთგვაროვანი დაცვით სარგებლობდა იმისათვის, რათა საჩივრის შედეგი არ ყოფილიყო ცვლადი იმისდა მიხედვით, იგი მე-8 მუხლის საფუძველზე იყო წარდგენილი პირის მიერ, რომელიც შეურაცხმყოფელი განცხადებებით დაზარალდა, თუ მე-10 მუხლის საფუძველზე – სადავო განცხადებების ავტორის მიერ. თუმცა, ისეთ შემთხვევებში, როდესაც გამოხატვის თავისუფლება სამართლიანი განხილვის შესახებ ბრალდებულის უფლების კონტექსტში (კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე) უნდა გააზრებულიყო, ასეთ დროს, შიდა ხელისუფლებისათვის კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე გადაცემული შეფასების თავისუფლების ფარგლები მნიშვნელოვნად ვიწროვდებოდა. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ დაადგინა შემდეგი პრინციპები ამგვარ კონტექსტში კონკურენტი ინტერესების დაბალანსებისათვის: კერძოდ, სასამართლოს აზრით, ბრალდებულის გამოხატვის თავისუფლებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესების გათვალისწინებით, პრიორიტეტი უნდა მიეცათ ბრალდებულის შესაძლებლობისათვის, ესაუბრა თავისუფლად, იმის შიშისაგან დამოუკიდებლად, რომ მის წინააღმდეგ აღიძვრებოდა დიფამაციის სარჩელი იმ განცხადებებისა თუ არგუმენტებისათვის, რომელიც მან პროცესში თავის დაცვის მიზნით გააკეთა.

მეორე მხრივ, რაც უფრო დაშორებული იყო მისი განცხადებები მისი საქმისა და დავის საგნისაგან, და შეიცავდა არარელევანტურ, ანდა უმიზეზო თავდასხმებს პროცესის მონაწილეებისა თუ მესამე პირების მისამართით, მით უფრო ლეგიტიმური ხდებოდა მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იმის გათვალისწინებით, რომ იმავდროულად, არსებობდა მესამე პირთა უფლება კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ბრალდებულის განცხადებები და არგუმენტები დაცული იყო იმდენად, რამდენადაც ისინი არ წამოდგენდა წინასწარ განზრახულ ბოროტ თავდახმას პროცესის მონაწილის ან მესამე მხარის მიმართ. როგორც სასამართლოს იურისპრუდენციიდან გამომდინარეობდა, განსასჯელის გამოხატვის თავსუფლება არსებობდა იმ ფარგლებში, როდესაც ის არ აკეთებდა იმგვარ განცხადებებს, რომლებიც წინასწარ განზრახულად წარმოშობდა ყალბ ეჭვებს პროცესის მონაწილე მხარის ან მესამე პირის დანაშაულებრივი საქციელის თაობაზე. პრაქტიკაში, როდესაც სასამართლო ამის შეფასებას ახორციელებდა, იგი მნიშვნელოვნად მიიჩნევდა იმის შემოწმებას, თუ რამდენად სერიოზულ შედეგებს გამოიწვევდა ეს განცხადებები იმ პირისათვის, რომელსაც ეს განცადებები შეეხებოდა. რაც უფრო მძიმე იყო ასეთი შედეგები, მით უფრო მეტი სოლიდური ფაქტობრივი საფუძველი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ამ განცხადებებისათვის.

გამოიყენა რა ეს პრინციპები წინამდებარე საქმეში, სასამართლომ მიიჩნია, რომ შიდა ხელისუფლებამ ვერ შეძლო სამართლიანი ბალანსის მიღწევა დაპირისპირებულ ინტერესებს შორის შემდეგი მიზეზებით:

პირველ რიგში, სასამართლომ განიხილა რა სადავო განცხადებების ბუნება და კონტექსტი, მიიჩნია, რომ მომჩივნის დაცვას სავსებით საკმარისი რელევანტური ტვირთი დაეკისრა სისხლის სამართლის საქმის განხილვის განმავლობაში და ამიტომ დაიმსახურა მაღალი დაცვის ხარისხი კონვენციის საფუძველზე. თუკი მომჩივანი წარმატებას მიაღწევდა თავისი არგუმენტების მეშვეობით საქმის განმხილველი სასამართლოს დარწმუნებაში, ეს სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენებდა მოწმეთა ჩვენებების სიმყარესა და სანდოობას, მათ შორის, დევნის წამოწყების ბუნებისა და ისტორიის თაობაზე. პრინციპულად, განსასჯელს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, თავისუფლად ელაპარაკა თავისი შთაბეჭდილების შესახებ მოწმეთა შესაძლო მოსყიდვისა თუ მის წინააღმდეგ დევნის უკანონო მოტივის თაობაზე იმ შიშის გარეშე, რომ ამას მის წინააღმდეგ დიფამაციის სარჩელი მოჰყვებოდა. უფრო მეტიც, I.P., რომელიც იყო კარგად ცნობილი საჯარო ფიგურა, და ომის დროს ჩადენილ დანაშაულთა დევნის აქტივისტი, საჯარო არენაზე გამოჩნდა სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით, და ამიტომ, მას, კერძო პირებთან შედარებით, პრინციპულად მოეთხოვებოდა ეჩვენებინა მისაღები კრიტიკისადმი მაღალი ხარისხის ტოლერანტულობა.

მეორე, შესაბამისმა გარემოებებმა სასამართლოს არ მისცა შესაძლებლობა დაე-

სკვნა, რომ მომჩივნის ბრალდებას I.P.-ს მისამართით აკლდა ფაქტობრივი საფუძველი. I.P. ესწრებოდა სასამართლო სხდომებს და დაუშვა, რომ შეხვედროდა ზოგიერთ მოწმეს, მათ შორის იმ მოწმეს, რომელმაც სისხლისსამართლებრივი საჩივარი შეიტანა მომჩივნის წინააღმდეგ ომის დანაშაულის ბრალდებით; უფრო მეტიც. I.P.-მ სატელევიზიო შოუს რედაქტორს რჩევა-დარიგებები მისცა ხორვატიაში ომის თაობაზე რეპორტაჟების მომზადებისას, მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო ჩართული მომჩივნის შესახებ სამაუწყებლო გადაცემაში. ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს ამ ფაქტობრივი საფუძვლების მხედველობაში მიღება.

მესამე, სასამართლომ განიხილა სადავო განცხადებების შესაძლო შედეგები I.P. – თვის და დაადგინა, რომ ისინი საკმაოდ შეზღუდული იყო. მართალია, მომჩივანმა მას ბრალი დასდო მოწმეთა მოსყიდვაში, რაც ეროვნული სამართლით დასჯად ქმედებას წარმოადგენდა, მაგრამ ისიც ფაქტი იყო, რომ კომპეტენტურ ხელისუფლებას არასდროს ჰქონდა მის წინააღმდეგ დევნა წამოწყებული სავარაუდო სამართალდაღვევის გამოსაძიებლად. მართალია, სადავო განცხადებები ექსცესიური იყო, მაგრამ ისინი არ წარმოადგენდა ბოროტ და უმიზეზო თავდასხმას. უფრო მეტიც, არ არსებობდა არავითარი მტკიცებულება, რომ I.P.-მ სატანჯველი განიცადა ან ობიექტურად შესაძლებელი იყო რომ დატანჯულიყო ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ან სხვაგვარი სერიოზული ან ხანგრძლივი შედეგებით.

მეოთხე, სანქციის სიმკაცრის გათვალისწინებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად მომჩივნისათვის შიდა სამართლით დასაშვები მინიმალური ოდენობის ჯარიმის გადახდის ვალდებულების დაკისრებისა, სანქცია, ყველა შემთხვევაში მაინც სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას გულისხმობდა, რაც ამგვარ კონტექსტში მხოლოდ საგამონაკლისო გარემოებებში შეიძლებოდა აღიარებული ყოფილიყო აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სხვა საქმეები

2020 წელს სასამართლომ საკმარისი ყურადღება დაუთმო უმცირესობის, მოწყვლადი ჯგუფების, ძალადობის მსხვერპლთა უფლებებს.

მაგალითად, *Buturugă v. Romania*[45] უკავშირდება კიბერბულინგის ფენომენს, როგორც ქალთა ძალადობის ფორმას და ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს. საქმის ფაქტები შეფასებულ იქნა მე-3 და მე-8 მუხლების საფუძველზე და დადგინდა სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობა. სასამართლომ დაადასტურა, რომ ოჯახური ძალადობის ფენომენი მოიცავდა ფსიქოლოგიურ ძალადობასა და შევიწროებას, რომლის ერთ-ერთ ფორმასაც წარმოადგენდა პირად სფეროში კიბერშეჭრა, მსხვერპლის კომპუტერში შეღწევა და პირადი მონაცემებისა და ფოტოსურათების გადაღება, მათი სხვა პირებისათვის გაზიარება ანდა ამ მასალებით სხვაგვარი მანიპულაცია.

მშობლების მხრიდან ძალადობისაგან ბავშვთა დაცვას და ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს შეეხებოდა საქმე *Association Innocence en Danger and Association Enfance et Partage v. France.*[46] საყურადღებოა, რომ ამ საქმის ფაქტები სასამართლომ მოაქცია მე-3 მუხლი მოქმედების ქვეშ, ხოლო მე-2 მუხლი გამოყენებადად არ მიიჩნია, მიუხედავად არასათანადო მოპყრობის შედეგად მსხვერპლის სიკვდილისა. არ დადგინდა მე-13 მუხლის დაღვევა მე-3 მუხლთან ერთობლიობაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილი „უხეში დაუდევრობის“ (*faute lourde*) დამტკიცების ვალდებულება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად არ აუქმებდა ამ მისაგებლის ეფექტიანობას, რაც ხელთ გააჩნდათ მომჩივან ასოციაციებს კონვენციის მე-3 მუხლის ჭრილში;

ჰომოსექსუალთა გაძევების პირობები დაადგინა სასამართლომ საქმეში *B and C v. Switzerland*[47], სადაც პირველად თქვა, რომ დეპორტაცია დაარღვევდა მე-3 მუხლს, თუკი გასაგზავნ ქვეყანაში არსებობდა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე არასათანადო

45 *Buturugă v. Romania*, no. 56867/15, 11 February 2020.

46 *Association Innocence en Danger and Association Enfance et Partage v. France*, nos. 15343/15 and 16806/15, 4 June 2020

47 *B and C v. Switzerland*, nos. 889/19 and 43987/16, 17 November 2020.

მოპყრობის რეალური რისკი, ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჰომოსექსუალური აქტების სისხლისსამართლებრივი დასჯადობა საკმარისი არ იყო რისკის რეალურობის სამტკიცებლად. სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა იმის დამტიკცების ტვირთი, რომ იგი შეძლებდა კერძო პირთა თავდასხმებისგან ჰომოსექსუალის დაცვას. მანვე დაუშვებლად გამოაცხადა ჰომოსექსუალი პირისათვის მოთხოვნის დაწესება – არ გაემხილა თავისი ორიენტაცია თავის დასაცავად.

ასევე ჰომოსექსუალთა უფლებებს, კერძოდ მათ მიმართ ჰომოფობიურ დამოკიდებულებას და ამ ნიშნით დისკრიმინაციულ მოპყრობას (მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში) შეეხებოდა საქმე *Beizaras and Levicks v. Lithuania*.[48] სასამართლომ მიუთითა, რომ კრიმინალური სანქციები სიძულვილის გამოხატვისა და ძალადობისაკენ წაქეზებისათვის უნდა გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ როგორ ultima ratio ღონისძიება, თუმცა, შეუნიღბავი მოწოდება მომჩივანთა ფიზიკურ და სულიერ ერთიანობაზე თავდასხმისაკენ, რასაც ამ საქმეში ჰქონდა ადგილი, მოითხოვდა სისხლისსამართლებრივ დაცვას. ამასვე ეფუძნებოდა ის გარემოება, რომ მომჩივნებს აღარ მოეთხოვებოდათ სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებების ამოწურვა, რადგან მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხი იქნებოდა ადეკვატური.

საქმეში *N.H. and Others v France*[49] სასამართლომ მეორედ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა თავშესაფრის მაძიებელთა (რომლებიც მოწყვლად ჯგუფს მიაკუთვნა) ცუდ პირობებში განთავსების გამო და გამოიყენა „უკიდურესი მატერიალური სიღატაკის" კრიტერიუმი, რომელიც აღძრავდა მე-3 მუხლის საკითხს.

საქმეში *M.K. and Others v. Poland*[50] სასამართლომ კონვენციასთან მიმართებაში შეაფასა თავშესაფრის პროცედურაზე ხელმიუწვდომლობა და პირთა მესამე ქვეყანაში გაგზავნა იმის ჯეროვანი შემოწმების გარეშე, არსებობს თუ არა მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის რისკი; მე-13 მუხლის კონტექსტში დასაბუთებისას სასამართლომ აუცილებლად მიიჩნია და კიდევ ერთხელ დაადასტურა იმგვარი მისაგებლის არსებობა, რომელიც მომჩივნების მხრიდან უარის გაპროტესტების შემთხვევაში, ავტომატურად შეაჩერებდა გაძევების გადაწყვეტილების აღსრულებას.

საქმეში *Evers v. Germany*[51] სასამართლომ ნათელი გახადა, რომ მე-8 მუხლის ფართო კონსტრუქცია არ გულისხმობდა იმას, რომ მასში ნაგულისხმები ყოფილიყო ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ ადამიანთა ისეთი ურთიერთობა, როდესაც ერთი მხარე მეორეზე ძალადობდა და ეს უკანასკნელი წინააღმდეგი იყო ურთიერთობისა. შესაბამისად, მოძალადის მხრიდან ასეთი კონტაქტის აკრძალვის გაპროტესტებაც ვერ თავსდებოდა მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. საზოგადოდ, მე-8 მუხლით დაცული „პირადი და ოჯახური ურთიერთობები" არ მოიცავდა სხვა ადამიანის დაყოლიების მცდელობას ამგვარი ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების მიზნით.

ბოშათა თემის სუფთა სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობას შეეხებოდა საქმე *Hundrovič and Others v. Slovenia*[52] კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების კონტექსტში. პრინციპული ის იყო, რომ სასამართლომ აღიარა მე-3 მუხლის გამოყენებადობა სუფთა სასმელი წყლისადმი ხელმიუწვდომლობის შემთხვევებში, რომელიც შეიძლებოდა გათანაბრებულიყო მე-3 მუხლით აკრძალულ არასათანადო მოპყრობასთან, თუმცა ამ საქმეში მიიჩნია, რომ ეს ზღვარი გადალახული არ იყო. სასამართლომ, გაითვალისწინა რა მუნიციპალური ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ზოგიერთი პოზიტიური ნაბიჯი მომჩივნების დასახმარებლად, ასევე უარყო ამ საქმეში მე-8 მუხლის გამოყენებადობა და მიუთითა, რომ ეს მუხლი მოქმედებაში მოვიდოდა, როდესაც საქმე შეეხებოდა უსაფრთხო სასმელი წყლისადმი განუწყვეტლივ ან ხანგრძლივი ვადით ხელმიუწვდომლობას ჯანმრთელობისა და პირადი ცხოვრებისათვის სერიოზული შედეგებით.[53] საგულისხმოა, რომ

48 *Beizaras and Levickas v. Lithuania*, no. 41288/15, 14 January 2020.

49 *N.H. and Others v. France*, nos. 28820/13 and 2 others, 2 July 2020.

50 *M.K. and Others v. Poland*, nos. 40503/17 and 2 others, 23 July 2020.

51 *Evers v. Germany*, no. 17895/14, 28 May 2020.

52 *Hudorovič and Others v. Slovenia*, nos. 24816/14 and 25140/14, 10 March 2020.

53 კერძოდ, შემდეგნაირად აღწერა სასმელი წყლისადმი ხელმისაწვდომობის პირობები მე-8 მუხლის გამოყენებადობის პირობები: *„უსაფრთხო სასმელი წყლისადმი ხელმიუწვდომლობა განუწყვეტლივ ან ხანგრძლივი ვადით"*, *„ჯანმრთელო-*

სასამართლომ ამ სფეროში არ განავრცო სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები ძალზე შორს და მიიჩნია, რომ მართალია, მომჩივნები მიეკუთვნებოდნენ ბოშათა თემს, რომელიც მოწყვლად ჯგუფად ჩაითვლებოდა, მაგრამ ეს ისე არ უნდა განმარტებულიყო, რომ თითქოს მხოლოდ სახელმწიფოს აწვა მთელი ტვირთი მომჩივანთა საცხოვრებლების უწყვეტი სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმეში.

საქმე *Muhammad and Muhammad v. Romania*[54] შეეხებოდა უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებულ პროცედურულ გარანტიებს (მე-7 ოქმის 1-ლი მუხლი) ისეთ შემთხვევებში, როდესაც გაძევება ხდებოდა ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე იმგვარ პირობებში, როდესაც უცხოელებს არ უხსნიდნენ გაძევების კონკრეტულ მიზეზებს და აღუკვეთდნენ იმ დოკუმენტების შინაარსისადმი ხელმისაწვდომობას, რომლებსაც გაძევებისას ეყრდნობოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უშიშროების დაცვის საქმეში სასამართლო მუდამ შეფასების თავისუფლების ძალზე ფართო არეალს აკუთვნებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, მან დაადასტურა მე-7 ოქმის 1-ელი მუხლის საფუძველზე ადამიანის უფლება, რომელსაც აძევებენ ეროვნული უშიშროებისათვის საფრთხის გამო, მიიღოს ინფორმაცია გაძევების მიზეზების თაობაზე და გააჩნდეს საქმეში არსებული დოკუმენტებისადმი ხელმისაწვდომობა, სულ მცირე, იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია გაძევების წინააღმდეგ საკუთარი არგუმენტების წარსადგენად. იმავდროულად, სასამართლოს ექვქვეშ არ დაუყენებია, რომ საზოგადოდ, ამგვარ ინფორმაციაზე, საჭიროების შემთხვევაში, შესატყვისი გამართლებული შეზღუდვებიც დასაშვები იყო. მან ჩამოაყალიბა შეზღუდვის გამართლებულობის ორსაფეხურიანი ტესტი და შემოწმების მეთოდოლოგია. მიუთითა, რომ რაც მეტი ინფორმაცია იყო უცხოელისათვის ხელმიუწვდომელი, მით უფრო მეტად უნდა ყოფილიყო ის კომპენსირებული დამაბალანსებელი ფაქტორებით. ხაზი გაუსვა პროცესში დამოუკიდებელი ორგანოს ჩართულობის და სხვა გარანტიების მნიშვნელობასაც.

საქმეში *Akbay and Others v. Germany*[55] სასამართლომ დაადასტურა თავისი მიდგომა, რომ სახელმწიფოს ფარული აგენტის წაქეზებით ჩადენილი დანაშაულის (entrapment) გამოძიებისა და განხილვის პროცესში ამ აგენტის მიერ მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება დაარღვევს სამართლიანი განხილვის უფლებას; ასეთ დროს მხოლოდ სასჯელის შემცირება საკმარისი არ იყო და მხოლოდ ამ მტკიცებულებების გამორიცხვა იქნებოდა მე-6 მუხლის შესაბამისი; ასევე მნიშვნელოვანი იყო სასამართლოს მხრიდან იმის დაზუსტება, რომ ეს თანაბრად შეეხებოდა სახელმწიფოს აგენტის მხრიდან დანაშაულის არაპირდაპირი წაქეზების შემთხვევებსაც. აქვე უნდა მოვიხსენიოთ საქმე *Ćwik v. Poland*,[56] სადაც სასამართლომ პირველად დაადგინა, რომ არასათანადო მოპყრობის გზით მოპოვებული მტკიცებულების დაშვება სისხლის სამართლის პროცესში მაშინაც არღვევსდა მე-6 მუხლს, როდესაც ასეთი მტკიცებულება მოპოვებული იყო კერძო პირთა მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შედეგად.

დასკვნა

კონვენციის სამართალი ყველა მიმართულებით ვითარდება, ზემოაღნიშნული საქმეები მოწმობს, რომ პრაქტიკა წამოჭრის სრულიად განსხვავებულ და ახალ-ახალ საკითხებს, რომლებზე პასუხის გაცემაც ამდიდრებს სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. სასამართლო ცდილობს მისდიოს თავის პრაქტიკას, პარალელურად – აღრმავებდეს, აზუსტებდეს და აუმჯობესებდეს თავის მიდგომებს და, იმავდროულად, ადეკვატურად პასუხობდეს ახალ გამოწვევებს. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს სასამართლომ შეიმუშავა არაერთი ახალი პრინციპი მოწყვლადი ჯგუფების დასაცავად, როგორებიც არიან ბოშათა თემი, თავშესაფრის მაძიებელები, ოჯახური ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლი, ჰომოსექსუალები და სხვ. სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა მკაცრი მიდგომები არასათანადო მოპყრობისა და დისკიმინაციის აკრძალვის სფეროებში; გამოხატვის თავისუფლება თითქმის

ბისა და ადამიანს ღირსებისათვის „თანმხლები შედეგებით, რაც ანადგურებს პირადი ცხოვრების არსს და საცხოვრებლით სარგებლობას.“

54 *Muhammad and Muhammad v. Romania* [GC], no. 80982/12, 15 October 2020.

55 *Akbay and Others v. Germany*, nos. 40495/15 and 2 others, 15 October 2020.

56 *Ćwik v. Poland*, no. 31454/10, 5 November 2020.

ყოველთვის კვლავ ინარჩუნებს თავის ძლიერ პრიორიტეტს სხვა ღირებულებებთან მიმართებაში, მიუხედავად სასამართლოს არაერთხელ თქმულისა, რომ, საზოგადოდ, კონვენციის უფლებები ერთგვაროვანი დაცვით სარგებლობენ, თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, რომ იგი უთითებს ხოლმე მიჯნებზე, რომელიც არასდროს არ უნდა გადაილახოს.

არაერთ საქმეში მოუწია სასამართლოს ფართო ხედვა გამოეყენებინა და საკითხები განეხილა ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა თუ საერთაშორორისო ორგანიზაციების სამართალთან (განსაკუთრებით ევროპის კავშირის სამართალთან) მიმართებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო კვლავ დაბეჯითებით მიჰყვება თავის არჩეულ გზას, კონვენციის დებულებების განმარტება მოახდინოს ერთმანეთთან და საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებთან ჰარმონიასა და შესაბამისობაში. ასევე, არაერთ საქმეში დასჭირდა სასამართლოს შეფასების თავისუფლების კონცეპტის გამოყენება და საკითხის იმისდა მიხედვით გადაწყვეტა, როგორი იყო ამ სფეროში ეს ფარგლები – ვიწრო თუ ფართო.

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლოს 2020 წლის იურისპრუდენცია ასევე გამდიდრდა კონვეციის მე-16 ოქმით დაწესებული საკონსულტაციო დასკვნის უფლებამოსილების განხორციელების პრეცედენტით, რომელიც წინამდებარე სტატიაში განხილული არ არის,[57] რამდენადაც იგი უფრო მეტ და ფოკუსირებულ ყურადღებას საჭიროებდა იმის გასარკვევად, რამდენად ეფექტიანად ასრულებს სასამართლო ამ უფლებამოსილებას, რამდენად გონივრული იყო ამ მიმართულებით სუბსიდიურობის პრინციპის განვრცობა და, რაც მთავარია, რამდენად ქმედითია ამ მხრივ მისი დახმარება ეროვნული უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებისათვის, რა მიზანსაც ამ უფლებამოსილების დაწესება ისახავდა მიზნად. ბლოქჩეინ-პროექტებისადმი ინტერესის ნამდვილი გამოვლინება 2016 წლის პირველ ნახევარში დაიწყო.[58] სწორედ ამ პერიოდიდან უერთდება საქართველო აღნიშნულ პროექტს და საჯარო რეესტრი ერთ-ერთი პირველია, ვინც მიწის რეგისტრაციას ახდენს ბლოქჩეინის მეშვეობით.[59]

57 ვგულისხმობ სომხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნის შესაბამისად გაცემულ დიდი პალატის საკონსულტაციო დასკვნას, რომელიც შეეხებოდა „ბლანკეტური მითითებების“ ან „მითითებითი კანონმდებლობის“ გამოყენების ტექნიკას სამართალდარღვევის განსაზღვრისას და შეფასების სტანდარტს სამართალდარღვევის ჩადენის დროს მოქმედ სისხლისსამართლებრივ დებულებებსა და შესწორებულ სისხლის სამართალს შორის (*Advisory opinion concerning the use of the "blanket reference" or "legislation by reference" technique in the definition of an offence and the standards of comparison between the criminal law in force at the time of the commission of the offence and the amended criminal law* [GC],). request no. P16-2019-001, Armenian Constitutional Court, 29 May 2020.

58 *იქვე*, გვ. 7.

59 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, (თებერვალი 20, 2015). საჯარო რეესტრი ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დანერგვის მეორე ეტაპს იწყებს. <https://napr.gov.ge/p/1508> [ბოლო წვდომა: 15.01.2022]

BIBLIOGRAPHY:

1. European Court of Human Rights; Overview of the Court's Case-Law 2020; Council of Europe; <*https://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=caselaw/analysis/overview*> [Last seen: 20.03.2022]
2. *Ljubljanska Banka D.D. v. Croatia* (dec.), no. 29003/07, 12 May 2015.
3. *M.N. and Others v. Belgium* (dec.) [GC], no. 3599/18, 5 May 2020.
4. *Shiksaitov v. Slovakia*, nos. 56751/16 and 33762/17, 10 December 2020.
5. *Molla Sali v. Greece* (just satisfaction) [GC], no. 20452/14, 18 June 2020.
6. *Makuchyan and Minasyan v. Azerbaijan and Hungary*, no. 17247/13, 26 May 2020.
7. *Magyar Kétfarkú Kutya Párt v. Hungary* [GC], no. 201/17, 20 January 2020
8. *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], no. 14305/17, 22 December 2020.

9. *Baldassi and Others v. France*, nos. 15271/16 and 6 others, 11 June 2020
10. *Miljević v. Croatia*, no. 68317/13, 25 June 2020.
11. *Buturugă v. Romania*, no. 56867/15, 11 February 2020.
12. *Association Innocence en Danger and Association Enfance et Partage v. France*, nos. 15343/15 and 16806/15, 4 June 2020
13. *B and C v. Switzerland*, nos. 889/19 and 43987/16, 17 November 2020.
14. *Beizaras and Levickas v. Lithuania*, no. 41288/15, 14 January 2020.
15. *N.H. and Others v. France*, nos. 28820/13 and 2 others, 2 July 2020.
16. *M.K. and Others v. Poland,* nos. 40503/17 and 2 others, 23 July 2020.
17. *Evers v. Germany*, no. 17895/14, 28 May 2020.
18. *Hudorovič and Others v. Slovenia*, nos. 24816/14 and 25140/14, 10 March 2020.
19. *Muhammad and Muhammad v. Romania* [GC], no. 80982/12, 15 October 2020.
20. *Akbay and Others v. Germany*, nos. 40495/15 and 2 others, 15 October 2020
21. Ćwik *v. Poland*, no. 31454/10, 5 November 2020.

NOTES:

1. *Slovenia v. Croatia* (dec.) [GC], no. 54155/16, 18 November 2020
2. *Ljubljanska Banka D.D. v. Croatia* (dec.), no. 29003/07, 12 May 2015.
3. *Cyprus v. Turkey* (just satisfaction) [GC], no. 25781/94, ECHR 2014.
4. *M.N. and Others v. Belgium* (dec.) [GC], no. 3599/18, 5 May 2020.
5. The Court has repeatedly recognized the extraterritorial jurisdiction of the Contracting States for the infringements of human rights done beyond their territories (for example, see: *Loizidou v. Turkey*, *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia, Ivanțoc and Others v. Moldova and Russia, Catan and Others v. the Republic of Moldova and Russia, Chiragov and Others v. Armeni*a, *Sargsyan v. Azerbaijan*, *Jaloud v. Netherlands*).
6. *X v. Germany*, no. 1611/62, Commission decision of 25 September 1969, unreported.
7. *X v. the United Kingdom*, no. 7547/76, Commission decision of 15 December 1977, Decisions and Reports 12, p. 73.
8. *S. v. Germany*, no. 10686/83, Commission decision of 5 October 1984, Decisions and Reports 40, p. 291.
9. *M. v. Denmark*, no. 17392/90, Commission decision of 14 October 1992, Decisions and Reports 73, p. 193.
10. *Issa and Others v. Turkey*, no. 31821/96, 16 November 2004.
11. *Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom*, no. 61498/08, ECHR 2010.
12. *Medvedyev and Others v. France* [GC], no. 3394/03, ECHR 2010.
13. *Hirsi Jamaa and Others v. Italy* [GC], no. 27765/09, ECHR 2012
14. *Hassan v. the United Kingdom* [GC], no. 29750/09, ECHR 2014.
15. *Markovic and Others v. Italy* [GC], no. 1398/03, ECHR 2006-XIV. The case concerned a civil procedure for damages, which was brought before the courts of Italy by former citizens of Serbia and Montenegro regarding the deaths of their relatives as a result of the NATO air attacks. In this case, the Court declared inadmissible all the applicants' complaints due to lack of jurisdiction, except for the complaint regarding Article 6.
16. *Güzelyurtlu and Others v. Cyprus and Turkey* [GC], no. 36925/07, 29 January 2019. This case confirms Turkey's extraterritorial jurisdiction over the deaths on the island of Cyprus as the case concerned criminal proceedings initiated by Turkey (exercising control over the "Turkish Republic of Northern Cyprus") in the context of its procedural obligations under Article 2.
17. *Abdul Wahab Khan v. the United Kingdom,* (dec.), no. 11987/11, 28 January 2014.
18. *Ilias and Ahmed v. Hungary* [GC], no. 47287/15, § 125, 21 November 2019. 17.
19. See, for example, *N.D. and N.T. v. Spain*, nos. 8675/15 and 8697/15, § 222, 3 October2017; Where the court considered whether it was possible for the applicants to seek international protection at the Spanish Embassy and Consulate, actually and

effectively available to them.
20. *Shiksaitov v. Slovakia*, nos. 56751/16 and 33762/17, 10 December 2020.
21. 1951 Geneva Convention relating to the Status of Refugees.
22. Directive 2011/95/EU of the European Parliament and of the Council of 13 December 2011 on standards for the qualification of third-country nationals or stateless persons as beneficiaries of international protection, for a uniform status for refugees or for persons eligible for subsidiary protection, and for the content of the protection granted (recast).
23. European Convention on Extradition, ETS 024
24. Conclusion No. 12 (XXIX) Extraterritorial Effect of the Determination of Refugee Status, Executive Committee 29th session, 17 October 1978, UN Doc. A/33/12/Add.1.
25. *Eminbeyli v. Russia*, no. 42443/02, 26 February 2009.
26. In the present case, however, the Court has still found a violation of Article 5 of the Convention. He considered that the applicant's detention could still not be considered justified in view of its length (1 year and 9 months). Information on the applicant's refugee status, as well as documents relating to his criminal prosecution in Russia (which provided the basis for an assessment of the political aims of the alleged crime), had been available to the Slovak authorities since February 2015. Thus, it could not be established that the Slovak authorities were conducting the case actively and with the necessary diligence required by Article 5 § 1 (f) of the Convention.
27. *Molla Sali v. Greece* (just satisfaction) [GC], no. 20452/14, 18 June 2020.
28. The court pointed out that according to the Greek Civil Code of the Muslim faith, the beneficiary of the testament drawn up by the testator was in a different, unprofitable state compared to the beneficiary of the testament drawn up by the testator based on the Greek civil code of non-Muslim faith, which did not qualify for objective and reasonable justification.
29. *Makuchyan and Minasyan v. Azerbaijan and Hungary*, no. 17247/13, 26 May 2020.
30. Convention on the Transfer of Sentenced Persons, ETS 112.
31. Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, Report of the International Law Commission on the Work of its 53rd Session (2001), UN Doc. A/56/10.
32. For the same reason, the European Court did not find a substantial violation of Article 2 in Girgvliani's case (*Enukidze and Girgvliani v. Georgia*, judgment of 26 April 2011)
33. *Kitanovska Stanojkovic and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, no. 2319/14, 13 October 2016.
34. *Güzelyurtlu and Others v. Cyprus and Turkey* [GC], no. 36925/07, 29 January 2019.
35. *Nachova and Others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98 and 43579/98, § 157, ECHR 2005-VII. 35.
36. *Magyar Kétfarkú Kutya Párt v. Hungary* [GC], no. 201/17, 20 January 2020
37. *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], no. 14305/17, 22 December 2020.
38. *Baldassi and Others v. France*, nos. 15271/16 and 6 others, 11 June 2020
39. *Willem v. France*, no. 10883/05, 16 July 2009.
40. *Miljević v. Croatia*, no. 68317/13, 25 June 2020.
41. *Lešník v. Slovakia*, no. 35640/97, ECHR 2003-IV.
42. *Skałka v. Poland*, no. 43425/98, 27 May 2003.
43. *Nikula v. Finland*, no. 31611/96, 21 March 2002.
44. *Kyprianou v. Cyprus* [GC], no. 73797/01, ECHR 2005-XIII.
45. *Buturugă v. Romania*, no. 56867/15, 11 February 2020.
46. *Association Innocence en Danger and Association Enfance et Partage v. France*, nos. 15343/15 and 16806/15, 4 June 2020
47. *B and C v. Switzerland*, nos. 889/19 and 43987/16, 17 November 2020.
48. *Beizaras and Levickas v. Lithuania*, no. 41288/15, 14 January 2020.
49. *N.H. and Others v. France*, nos. 28820/13 and 2 others, 2 July 2020.
50. *M.K. and Others v. Poland,* nos. 40503/17 and 2 others, 23 July 2020.

51. *Evers v. Germany*, no. 17895/14, 28 May 2020.
52. *Hudorovič and Others v. Slovenia*, nos. 24816/14 and 25140/14, 10 March 2020.
53. In particular, the conditions for access to drinking water are described as follows: Conditions for Applicability of Article 8: "Constant or prolonged inaccessibility to safe drinking water", "with Consequences to health and human dignity", “that destroys the essence of private life and use of housing”.
54. *Muhammad and Muhammad v. Romania* [GC], no. 80982/12, 15 October 2020.
55. *Akbay and Others v. Germany*, nos. 40495/15 and 2 others, 15 October 2020
56. Ćwik *v. Poland*, no. 31454/10, 5 November 2020.
57. I mean the advisory opinion of the Grand Chamber issued at the request of the Constitutional Court of Armenia on the technique of applying "blank instructions" or "indicative legislation" in determining the offense and the standard of assessment between the criminal provisions in force and the amended criminal law. (*Advisory opinion concerning the use of the “blanket reference” or “legislation by reference” technique in the definition of an offence and the standards of comparison between the criminal law in force at the time of the commission of the offence and the amended criminal law* [GC],). request no. P16-2019-001, Armenian Constitutional Court, 29 May 2020.